345/2
1899

№ I

1899 ქ. ↓ ↑ ↓ ↑ ↓ ↑

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ახალი წელი ლექსი—შ. მდივანელისა 3
II ჩაშხამებული ახალწელიწადი მოთხრობა—ეკ. გაბაშვილისა . 6
III ზაქროს ნატვრა ამბავი—ალ. ბარნოვისა 20
IV ნატვრა ლექსი—დუტუ-მეგრელისა 26
V მგლები ნამდვილი ამბავი—თ. რაზიკაშვილისა 27
VI ტყის სურათები ლექსი—შ. მდივანელისა 36
VII როგორ მრავლდებიან ფრინველები—ილიკოსი 40
VIII ძველი საბერძნეთი ზღაპრული ამბავი—კოტესი 45
IX ახალი თეზეოსი (ფრანგულიდან) თარგ.—ეკ. მ—სა . . . 53
X საკვირველებანი ბუნებისა № 21 ლეღვსუარი—ალადო ადნიაშვილისა 57
XI არწივი—ალ. მ—შვილისა 59
XII წვრილმანი: ხალხური, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, უჯრების ამოცანა, სათამაშო გამოცანა, რებუსი და სხვა . . 61

დაიბეჭდა და მალე დაურიგდებათ „ჯეჯილის“ 1898 წ. ხელის მომწერლებს პრემია ალბომი „ბუნება სურათებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაზანი

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ჭ.

№ I

წელიწადი მეათე

ტფილისი
სტამბა მ. ჭ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.
1899.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 19-го Января 1899 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი.

Ონათლა. ახალი წელიც
გამოჩნდა თვისი ალმითა;
სუყველას ჩამოუარა
კარის-კარ, ტკბილის სალმითა.

—

ბალღებს შესძახა: მოვედი,
ადექით, ძილი კმარაო,
მას წელს დავატკბობ, ვინც შარშან
ამ დროს ვერ გაიხარაო.

—

თან მოვიტანე თქვენთვისა
სიმკვირცხლე, სიხარულია,
ხალისი სწავლა-ცოდნისა
და ერის სიყვარულია;

—

თაფლი, ჩურჩხელა, ჩამიჩი,
ბასილა, ბედის კვერია,
ვაშლი და თხილი მრავალი,
ულვათ სხვაც ყველაფერია;

—

19894

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუერთი, ბზრიალა, ჩიკორი
სხვა-და-სხვა გასართობიო,
წიგნები ნაირ-ნაირი,
ერთი მეორის მჯობიო.

—

ადე ჩაკიდეთ ხელი ხელს,
ინტუნეთ, იცქრიალეთო,
სხვა წლისთვის შესაგებებლათ
ჩემი დღეები თვალეთო!

შ. მღვიმელი.

ძველი და ახალი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაშხამებული ახალ-წელიწადი.

ამინლათ თოვლს. ცა და დედამიწა ისე მიახლოვებულან ერთმანეთს, რომ ვერ გაარჩევ სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე. ათ ნაბიჯზედ აღარაფერი გაირჩევა, მთლათ შებურვილია თოვლით სოფელი ეკლიანი, კვამლიც კი აღარ მოჩანს სქლათ შემორტყმულ ჯანყსა და ბურუსსში.

ერთის შეხედვით თითქო მოსპობილა ადამიანთა სიცოცხლე, თითქო აუარებელ თოვლს წაუსილავს და სამუდამოთ ჩაუჩუმებია კაცის ხმა, მისი მოძრაობა, მისი ღელვა და ლტოლვილება. მაგრამ ეს კი ასე არ არის, პირ იქით ახლო რომ მიხვიდე და ჩაიხედო ეკლიანის მიწური სახლების ერდოებში, დაინახავ რომ ჩვეულებრივზედ უფრო ძრიელი მოძრაობა, უფრო ძრიელი ღელვა და ფაცი-ფუცია. ყველა ოჯახი, ღარიბი თუ მდიდარი, პატარა თუ დიდი თავის შეძლების დაგვარათ ემზადება ახალ-წლის დასახვედრად, იმ იმედით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსჭვალული, რომ თუ პირველ დღეს წლის დასაწყისისას გულუხვათ ⁄ მორთულ-მოკაზმული შეეყრება, მთელი წლის განმავლობაშიაც ესე-ვე შეჰყვება და დეეკვებება.

აი სესიანთ ოჯახი, მაგალითად, რას არ აკეთებს სახვალიოთ: შუა ცეცხლზე საკიდელზე დიდის ქვაბით წყალი დუღს და შუა ცე-ცხლის წინ წლის ნასუქი ტახია გაშოტილი და გაფუფქვას ელის; მის გვერდითვე წუთისოფელს გამოსალმებული ბატი და ორი ყვე-რული ალაგია. სესია წინ ტყავ აფარებული სახლებს იწვეს, პატარა ნაბდის ქუდს თავზე იმაგრებს, რომ დაკუზვის დროს არ გადმოუვარდეს და ამაყათ გადაჰყურებს თავის მსხვერპლს — გასაფუფქს უშველე-ბელს „ანანოვს“. აქვე ცეცხლაპირას დარბაისლათ მოკეცილა მისი მეუღლე რუსუდანი და ფრინველის გაფუფქვას აპირებს.

დარბაზის უკანა კუნჭულში მიდგმული სკივრიდან ნენე, უნ-�ოსი რძალი რუსუდანისა, ჩურჩხელას, ჩამიჩს, ვაშლს და სხვა საკვ-ლიერს ალაგებს, ანაწილებს, ცალცალკე აწყობს ხონჩაზედ: ეს ჩემ მამამთილს, ეს ჩემ უმფროს რძალსა და მაზლს, ეს გოგოებს, ეს ბი-ჭებს, ეს მოჯამაგირე გიგოლას, ტუტუნებს ის თავისთვის. ნენეს მოახლოებით პატარძალი მოფარებით სახვალიოთ უმარილს ლესავს, სარტყელ-გულისპირს, ლეჩაქ-ბალდადს იწყობს და ილაგებს.

სუყველა ეს ჩუმად-წყნარად, რალაც მოწიწებით და კრძალვით კეთდება, არავინ ხმას არ იღებს, მხოლოთ კერაზედ გადებული დი-დი ბოძი მხიარულათ პრიალებს და აუარებელ ნაპერწკლებსა ჰყრის და აპნევს.

— დედა ჩემო, აბა ი ფული რომ მოგაბარე მომეცი, ტანციაზე მივდივართ ყმაწვილი ბიჭები და სახვალიოთ მეც ვიყიდი რასმე, ბო-ხის ხმით დაილაპარაკა ახლათ შემოსულმა ლექსომ, ოცდა ორი წლის ახმახმა ვაჟკაცმა და თან თოვლით გადაპენტილ ქუდს და ჩო-ხას დაუწყო ბერტყვა.

— რა უნდა იყიდო, გენაცვალოს დედა, დინჯათ მიუგო რუსუ-დანმა, საყიდელი რა გვაქს, შენი ჭირიმე, და თან სიყვარულით აადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნა თვალი თოვლისაგან გაწითლებულ თავის ლამაზ, წამოსადეგ ლექსოს. „ხვთის მოწყალება სუყველაფერი სახლში მოგვეპოვება: საკლავი, ხილი, ღვინო, არაყი და, აი თონესაც ეხლავე გავახურებთ და ისეთ ლავაშებს და ბასილებს დაგიკრავთ, რომ მისთანა მთელ სოფელში არავისა ჰქონდეს“.

— მართალია, დედაჩემო, ყველაფერი გვაქს, მაგრამ „კალფეტებს“ მაინც ვიყიდი. ხომ იცი ახლა შემოიღეს ერთმანეთის მილოცვა-დაბერება ჩურჩხელების მაგივრათ „კალფეტებით“. მეც მოდაში გავერევი და ჩვენ გოგო-ბიჭებსაც გავახარებ.

— ძაან კი თოვლს, ბიჭო, გზაში ხიფათს არას წააწყდეთ, გაა-ფთხილა სესიამ შვილი და ბროლიანით გათეთრებულ — გაფუფქულ ღორს დაუწყო ასო-ასოთ ჭრა. რა ხუმრობაა, ქარი რომ ამოვარდეს ნამქერი წაგსილავთ სადმე და კარგ ახალ წელიწადს დაგვიყენებთ!

— ნუ გეშინიან, მამა ჩემო, ისეთი ბიჭები მივდივართ რომ ჩვენ ქარი ვერაფერს დაგვაკლებს. მერე რა შორს ტანციაა, ერთი რომ გადააფურთხო გადასწვდები კიდეც, აი ძალუა ნენეც მაბარებს პატარა მაროსთვის ჩუსტებს.

— აი გენაცვა, შენი მობარებული ნაკრი, უთხრა რუსუდანმა შვილს, არც კი გამიხსნია, ნეტა რამდენი გაქვს გამოკრული? იმისთვის ინახამდი რომ თუ სალდათათ წამიყვანენ ტანისამოსი უნდა შეეიკეროთ და ახლა „კალფეტებზე“ უნდა დაახურდაო? არა, შენ სტეკი, უთოთ საახალწლოთ მოსართავი უნდა იყიდო რამე!?.

— მერე რა, რომ მოსართავიც ვიყიდო. არ შემერგება და არ მომიხდება თუ? ეს ოხერი რუსის ფარაჯა არც მათბობს და არც შემშვენის, ღამის მეხრე ხომ აღარა ვარ, დროა ტოლ-ამხანაგში გავერიო, გვერდზე ნაბადი წამოვიგდო.

— ჰოო, ეხლა კი მესმის ამ ეაგლახ დღეში რათ მიეშურები ტანციაზე! ღიმილით უთხრა სესიამ ლექსოს. ხვალ მისალოცათ რომ დაივლი სოფელს გინდა ნაბდით გამოეწყო. წადი შვილო, იყიდე, შენი შეძენილია ეგ ფული და როგორც გინდა ისე მოიხმარე. მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისთვისაც მადლობას ეწირავ ღმერთსა რომ სალდათობას გადარჩი და შენისთანა მუშა ხელი არ მოაკლდა ჩვენ ოჯახს.

„ბიჭო ლექსო, რაიქენ, ჩქარა, აგერ შუადღეა, დაგვიღამდება“ ბანიდგან მოისმა რამდენიმე ვაჟკაცის ხმა და ლექსომაც საჩქაროთ გადაყლაპა პატარძლის მოტანილი პატარა სტაქნით არაყი, ხელში ნახევარი პური აიღო და კარში გაეშურა.

პატარა ხანს უკან მოისმა ყმაწვილ მგზავრთა სიმღერის ხმა, მაგრამ ბურუსიან ჰაერში მალე მიეკარგა და სოფელი ეკლიანი ისევ ისე მიყუჩდა და გაინაბა აუარებელ თოვლ ქვეშ.

—

საღამო ჟამია, დედაკაცების ფუსფუსი შესწყდა სესიანთ სახლში. სუყველაფერი მზათ არის: ღორის ხორცი მოხარშულია, ღორის თავი მეკვლისთვის გამართულ ხონჩაზეა გამოჭიმული, მას გვერდს უმშვენებს ბოთლით არაყი, ბედის კვერები, საქსონის ჯამით აბრამიანი, თეფშებით მოხარშული კვერცხები, ციცი დედალი, გოზინაყი, ჩურჩხელა, ვაშლი და ათასი სხვა საკვლეური, სამი წყვილი შინ ჩამოქნილი ყვითელი სანთელი ხონჩას თავსა და ბოლოს უწყვია.

თარო თავის ჭურჭლით, ჯამ-ქოთნით, ტაფა-ქვაბით, კიდობანი ბზინავენ სისუფთავით, დარბაზი დაკრიალებულია, გაჩაღებულ კერასთან შორი-ახლო გაშლილ ჭილობზედ ათიოდ მოზარდი გოგო-ბიჭი სხედან და ხვალინდელ ბრწყინვალე დღეზედ ბაასობენ:

— გიგოლაანთ მარტო პატარა ბურვაკი დაკლეს, არც ქათამი ჰყავთ, საწყლებს, არც ბედის კვერები და ბასილები გამოუცხვიათ. მათამ მარტო ოთხი მჭადი გამოაცხო კეცებში სახვალიოთ, დაცინვის კილოთი სთქვა პატარა მარომ.

— არც საახალწლო ძელები უწყვიათ კერაზედ, დაუმატა თორმეტი წლის დათომ. იმ დღეს გიგოლას ხელისოდენა კუნძები დაეთხარა ახოში და ამ საღამოსთვის მარტო ისინი შეაწყეს ბუხარში.

— მერე კუნძი რა ნაპერწკლებს გაჰყრის, მეკვლე რომ ჯოხს შეუჩიჩხირებს გათენებისას? დაეკითხა გიგლა დათოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნუ გაჰყრის რა! მაინც არა ჰყავთ საქონელი და მაინც. ბევრი ნაპერწკლებიც რომ გააყრევინოს მეკვლემ, მითომ იმითი გაუჩნდებათ თუ! ვისაც არა ჰყავს საქონელი სულაც არ ეყოლება და ის არის!

— საწყალი იმათი გიორგაი, მაშ ყოველთვინ ჩვენ მეხრეთ უნდა იყვეს? ამოხვრით სთქვა პატარა პელომ და გაშტერებით დაუწყო ცეცხლს ყურება, თითქო იქ უნდოდა ამოეკითხა, თუ რათ იყო ისე უბედური გიგოლა ხელმოკლაძის ოჯახი და ამათი კი ყოველის ხვთის მოწყალებით სავსე.

—იყოს რა, ურიგოთ ვაჭმევთ და ვასმევთ თუ? ურიგოა ი სამი ალო. რო მოუხანით მეხრეობაში, კიდევაც მადლობელი უნდა იყვნენ, რომ სულ მოუხნავათ არ დარჩნენ ჩვენის მოწყალებით! მდიდარი გლეხის სიამაყით დაიკვეხა დათომ.

— ოჰ, ოჰ, დიდი საქმეა სამი ალო, გაეკამათა გიორგის მეგობარი პელო თავის ბიძაშვილს, მთელი შემოდგომა ჩვენი გუთნიდგან არ გადმოსტარა, საწყალი, და სამი ალოო! მეტიც ერგებოდა, ჩვენმა ლექსომ უთხრა ბიძიას, მეტი მივცეთ, სამი ცოდო არ-სო.

— სუ ერთი და! შენ ვილა გკითხავს; შენ ისიც გეყოფა, რომ დილას ორი ბედის კვერი გამოსთხოვე ძალუას და იმის დედა მათას გაურბევინე.

— მერე რაო რომ გაურბევინე? ძალომ ასე მითხრა ღორის ხორცსაც გაუგზაუენი, ღვინოსაცაო და შენ მაშინ სულ გული გაგისკდება.

— გული შენ გაგისკდეს, აი! —დაიღრიალა დათომ, პელოს თავში ჩასაკრავათ მიიწია და დღევანდელი ფუსფუსით დაღალული აქა-იქ წამოწოლილი უფროსები დააღვიძა.

— რა იყო შე ავყია, შე ჩხუბის თავო? უთხრა უფროსმა ძალუა-რუსუდანმა დათოს. „ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“ ტყვილათ კი არ არის ნათქვამი. ხვალ ახალ წელიწადი თენდება, უნდა ტკბილათ, მეგობრულათ მიეგებნეთ და შენ კი ყველას ეჩხუბები, ხომ დაგეკვება და დარჩი სამუდამოთ ავი და შავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ აძას რა გული სტკივა გიგოლაანთ გიორგისთვის? აი ახალუხიც სულ ნაფხრეწებათ ჰკიდია, პერანგის გულის პირიც ჩამოფლეთილი აქვს და მაშ ისიც გაუახლოთ, რაღა! გიგოლას რომ ქალამნებიდგან თითები აქვს გამოყოფილი, ისიც ჩვენ გამოუცვალოთ?! ხომ არა გნებავს!

— რატომ, შვილო, რა ურიგო იქნება რომ ხელმოკლე, მეზობელს ხელი გაუმართოთ, მე კიდეეაც გადამავიწყდა საახალწლო სამზადისში, თორე სესიას ქალამნები და ძველი ტყავი უნდა გამეგზავნა გიგოლასთვის. აი, მოგონებაზედ, გიორგასაც მიხას ბანბაზიის ხალათს გავუგზავნი; ამას დაბანბული ახალუხიც ეყოფა და ხალათით კი გიორგა საახალწლოთ მოირთობა.

— გაუგზავნე რა, დარცხვენით წაიბუტბუტა დათომ, მე რა მენაღვლება! განა გიორგა მე კი არ მიყვარს? ის თავის დღეში არავის წასჩხებია, მედა ჩემმა ღმერთმა, კაი ბიჭია. მე პელოს გამოჯავრებული ვამბობ, თორე...

— ადამიანო, ხედავ რა რიგ დაიგვიანეს ი ბიჭებმა? დალონებით თქვა სესიამ, რომელიც გარედგან შემოვიდა და სიცივისგან გაშეშებულ ხელების თბობა დაიწყო ცეცხლთან.—რომ იცოდე, დედაკაცო, რა ქარიშხალი ამოვარდა, სულ გლეჯავს არე-მარეს. ვინ იცის რა ჯოჯოხეთია მინდორში! ღმერთი არ გაგვიწყრეს და გზა არ დაებნათ ნამქერში. გული როგორლაც შემამკვნესის.

— რას ამობ, კაცო! ჯვარი სწერიათ ქრისტესი. იქნება ცოტა ოდენი გადაჰკრეს დუქანში და იმიტომ შეუგვიანდათ, ხომ იცი ყმაწვილი ბიჭების ამბავი. აი ეხლა საცაა უნდა გაჩნდენ! —ამ სიტყვებით დააშოშმინა რუსუდანმა თავის ქმარი და თითონ კი გულის კანკალით შალი თავზე წამოიდო და კარში გავიდა.

—

კარში მართლა რომ ხვთის რისხვა ტრიალებდა. საშინელი ძრიელი ჩრდილოეთის ქარი უბერავდა და ყინულათ ქცეულ თოვლს წალმა-უკულმა ატრიალებდა. რუსუდანმა მთელი თავის მეხსიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება შეიგროვა, მაგრამ ვერ გამოარკვია, თუ საით იდგა უახლოესი მეზობლის სახლი. მაღლა ცა, ძირს დედა-მიწა, მარცხნივ თუ მარჯვნივ მიდამო წარმოადგენდა ერთ გვარს, შაეთ და ბნელით მოცულს სისწორეს, რომლის თავი და ბოლო შთაინთქებოდა თოვლის თვალ გაუწვდენელ კორიანტელში.

— ვაი, დედასა, შვილო, ამოიკვნესა რუსუდანმა და მუხლ მოკვეთილი ისევ შინ შებრუნდა, მიუახლოვდა ცეცხლთან მწუხარებით თავ ჩაკიდულ ქმარს და კანკალით შეეკითხა: „კაცო, რა ექნათ, რა ვიღონოთ? ნუ თუ თავი მივანებოთ ასე ღვთის ამარას და იბიჭის სული საეშმაკოთ გაეხადოთ?...

— რა ექნათ, რას გავაწყობთ ბუნების რისხვასთან, ამოკვნესითვე მიუგო სესიამ. ხელი რათ მოუმართე, შე დალოცვილო, ფული მაშინვე ხელში რათ მიაჩეჩე? განა კვლავ ვერ მოასწრებდა ნაბდის ყიდვას...

— ხელი რათ მოუმართე? მერე შენ კი წინ გადაეღობე? შენ კი არ უთხარი, იყიდე, შვილო, იყიდე, ხვალისთვის გვეძიდზე მოიგდეო.

— მართალია, მაგრამ... რა ვაეწყობა... იქნება ღმერთმა ქნას და არ წამოსულიყვენ ტანციიდგან...

— რას ამობ, კაცო, რას?! რა დააყენებდათ ახალ-წელიწად ღამეს დუქანში რაა... ახალ-წელიწადს როდინის ქვას არ დააგდებენ კარში და განა შეიძლება ვაჟკაცის კარში დარჩენა!... კანკალით დაუმატა რუსუდანმა და დიდ ნაჭერ კვარს მოუკიდა ცეცხლზე. აბა, ადე, წავიდეთ, შევიტყოთ ჩვენებიანთსა, სხვები ხომ არაიან დაბრუნებულან, ანბავი ხომ არაფერი შეუტყვიათ სოფელში?

რუსუდანი და სესია, დიდის კეტებით ხელში, გამოვიდნენ გარეთ ჯ კვარის ცხოველ შუქზედ, ბრაცა-ბრუცით გაუდგნენ მეზობლის სადგურის ძებნას. პირველი ბანი, რომლიდგანაც ძალუმი ნაპერწკლები ამოდიოდა, ამათი სახლიკაცების სახლათ აღმოჩნდა და ესენი ბანიდგანვე გამოეხმაურენ კერის გარს შემომსხდარ დედაკაცებს: „ტანციი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან არაეინ მოსულა, ანბავი ხომ არა შეგიტყვიათ რა ი ბიჭებისა?

— არა, გენაცვალე, რუსუდანჯან, ტირილით შემოსძახა მართამ, რომლის შვილიც ლექსასთან ერთათ იყო წასული. რა ექნათ, ადამიანო, რა გვეშველება, ჩვენ უბედურებს, რა!...

რუსუდანმა და სესიამ დიდის ვაი-ვაკლახით შემოუარეს ხუთ-ექვს მეზობელს და ერთი საათის შემდეგ მთელი სოფელი ეკლიანი ფეხზე დადგა. დედაკაცების მოთქმა, ბავშვების ჭრიამული, ვაჟკაცების კიჟინი ერთმანეთში ირეოდა. ორ-სამ ალაგას თოვლზე სქლათ ნაცარი დაჭყარეს და დიდი ცეცხლი გააჩინეს, აქა-იქ დამბაჩის ხმა გაისმა, ბევრი დაჭანგებული, ადამიჭმის გაუსროლელი თოფი დასცალეს, მაგრამ წასულების ხმა კი არსაიდგან მოისმოდა.

ქარი თითქო ჯიბრზე უფრო ფორიაქობდა, ნამქერი ნემსის წვერებივით თვალებში ესობოდათ ხალხს და სიცივისგან გათოშილნი ძლივსლა იდგნენ ფეხზედ. ცეცხლის ნაბდღერიალი ქარს აქეთ-იქით მიჰქონდა და საშიშოთ ხდიდა სოფლის ხის შენობებისათვის.

— შვილო, შვილო! გაჰკიოდა საცოდავი რუსუდანი და ბანს აძლევდენ სხვა წასულების დედები. „ისევ სალდათათ წაეყვანეთ ის არ მერჩივნა, მე უბედურს, შვილო, ჩემო მშვენიერო ვაჟკაცო, ჩვენო ოჯახის მარჯვენა ხელო...

— ღმერთო, რას გვერჩოდი ჩვენ უბედურებს, რისთვის დაგვსაჯე, მე დალოცვილო, რომელი ცოდვისათვის; ღრიალებდა მეორე დედაკაცი და თავსა და პირში იცემდა ხელებს.

— შენ დანიშნულს რა პასუხი გავცე, მე უბედურმა, — ლოყების გლეჯით მოსთქვამდა მესამე.

— სუთ, სუთ! მკვახეთ შეჰყვირა ერთმა დარბაისელმა გლეხმა და უშველებელი ხმაურობა ცცებ შესწყდა. — სუთ, წივილ-კივილით უბედურებს ვერაფერს უშველით, რაც ხვთის ნებაა ის მოხდება ჩვენ თავზე. უბედურებას უბედურებას ნუ მოუმატებთ, ამ კორიანტელში ნუ ეხოცავთ ბავშვებს, დედაკაცებს, ცეცხლის მსხვერპლათ ნუ ეხდით მთელ სოფელს. დავიშალნეთ, გათენებამდინ ვერას გავაწყობთ და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენებისას მთელი სოფლის საქონელი გაერეკოთ, ბარი ჯ ნიჩაბი წაიღოთ და გზა გაეტეხოთ. თუ არ წამოსულან ტანციიდან—ხომ რა კარგი, და, თუ წამოსულან, იქნება შეეყუჩნენ სადმე, იქნება ილონეს რამე, ბავშვები ხომ არ არიან, ათი ვაჟკაცია ერთათ. წინდაწინვე თავს რათ იკლავთ, თქვე ოჯახქორებო!

—

ეკლიანელი ბიჭები კარგა შეზარხოშდნენ სტანციასთან დუქანში, ნაყიდი ბარგი—ბარხანა ჩაილაგეს ხურჯინებში, ახალი ნაყიდი ნაბდები წამოისხეს, ოავ-ყბა კარგათ შეიხვიეს ყაბალახებით და გამოუდგნენ გზას. ოთხი საათი იქნებოდა. ბინდი მოტანებული იყო და ისედაც კორიანტელის მოწყალებით ჩამობნელებულ არე-მარეს უფრო აბნელებდა, მაგრამ სტანციიდგან სოფელი ისე ახლო იყო, (სულ ოთხი ვერსის მანძილი ჰქონდათ გასაელელი) და აღარ დაიშალეს, ეგონათ დაღამებამდინ მიაღწევდენ სოფელს და თავთავიანთ აღგზნებულ კერასთან შეეგებებოდნენ ახალ წელიწადს.

სულ ას ნაბიჯზედ არ გამოშორებოდნენ სტანციას, რომ ერთი მათგანი თითქმის წელამდინ ჩაიფლო ნამქრით წალესილ ღელეში და ამხანაგებმა დიდის ვაი-ვაგლახით ძლივს ამოაძრეს იქიდგან; მაგრამ პირველმა ფათერაკმა არ შეაშინა ესენი; პირ-იქით უფრო მედგრათ გაუდგნენ გზას; კარგა ხანს იარეს გაკვრით, ჯ კიდევ შეჩერდნენ: ეხლა წელამდინ ნამქერში ჩაიფლა ერთი კი არა, სამი წინ მიმავალი და ამხანაგები დააღონა.

— რა ვქნათ, ბიჭებო, რითი უშველოთ? ამოიხვნეშა ლექსომ. ეს ოხერი, ჯოხებიც კი არ გვიჭირავს ხელში, რათი გავაპოთ ეს საშინელი ზვავი?...

— გეიშველეთ, კაცო, საძრაობა აღარა გვაქვს, ყვიროდნენ ჩაფლულები.

— ეხლავ, ძმებო, ნუ შეშინდებით, შეჰკივლეს ამხანაგებმა და დაუწყეს თოვლს ხელებით ბრდღვნა; აქეთ იქით გადადიოდა თოელის ზვირთები და საშინელ ქარზედ ბზესავით ნიავდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსა და პირს უვსებდა და თვალებს უბნელებდა მუშებს, საქმეს უძნელებდა და უოარკეცებდა.

დიდხანს მოუნდნენ უიარაღოთ, მარტო ხელების შემწეობით, თოვლის თხრას ბიჭები, წელში გასწყდნენ, ოფლში დაცურდნენ; კარგა ღამე იყო გავლილი, რომ ნახევარზედ დაძრული და დაყინული ამხანაგები გაანთავისუფლეს, სიხარულით პირჯვარი გადაიწერეს და ხელ-ახლად უნდა შესდგომოდნენ გზას, მაგრამ საუბედუროთ ველარ წარმოედგინათ თუ საით უნდა წასულიყვნენ, ამათი გამოელილი კვალი მუშაობის დროს თოვლს წაესილა და სხვა ნიშანი აღარა გაჩნდათ რა. ცა და დედამიწა შერთებულიყვნეს ერთად და წაეშალათ ყოველი ნიშანი ქვეყნის მიმართულებისა. ზენა ქარი, რომელიც ერთად-ერთი მაჩვენებელი იყო ჩრდილოეთისა, უცეფ ჩავარდა.

წავიდნენ მარჯვნივ—გაუვალი თოვლის ზვავი აეყუდათ წინ, გაბრუნდნენ მარცხნივ – ისევე ზვავი გადაეღობათ. წინ წასულიყვნენ თუ უკან? სად იყო წინ და სად უკან, ვინ გამოიცნობდა ამ საშინელ თოვლის და სიბნელის სამეფოში.

— რა ექნათ, ბიჭებო! ამოიოხრა ლექსომ. დავიღუპენით, უსაცილოთ დავიღუპენით.

— დავიღუპენ-თ, ამოიკვნესეს დანარჩენთაც და ყველას თვალებზედ ცრემლები წამოადგათ. ერთ წამს ყველას თვალ წინ გაურბინა სიკვდილის ზარმა და ყველა შეჰზარა.

კარგა ხანს გაშტერებულნი იდგნენ და ძალდატანებით გაიცქირებოდნენ სიბნელეში, მაგრამ არსაიდგან არავითარი შუქი, არავითარი მოძრაობა არ მოსჩანდა, მხოლოთ დიდრონი თოვლის ნაფლეთები ირეოდნენ ჰაერში და წამზედ ხელის სისქეთ ედებოდა მგზავრებს ტანისამოსზედ.

— ნახევარი გზა გავლილი გვაქს, თითქმის სახლში ვართ და ვიღუპებით! რას ფიქრობენ ჩვენები, რატომ ხმას არ გვაძლევენ? სთქვა სულ უნცროსმა მგზავრთაგანმა საყვედურით და გული ამოუჯდა.

— ვინ იცის რა რიგად სწუხან, ყვირიან, ტირიან მაგრამ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოჯოხეთში რას გააწყობენ, ხომ ხედავ დედა მიწა უსამზღვრო ზღვასა ჰგავს, საით გვეძებონ, ვის სთხოვონ სამართალი? მწუხარებით მიუგო მოტირალს ლექსომ და თავის ახლად ნაყიდ ნაბადს მწარის ღიმილით გადახედა: ახია ჩვენზე, მოართულობას ვანაცვალეთ ჩვენი თავი და სახლობასაც უკეცხლოთ ცეცხლი გავუჩინეთ!

— იცით, ბიჭებო, რას გირჩევთ, წამოიძახა სანდრამ, მოდი ამ ჩვენი მარჯვენით გათხრილ თხრილში ჩავსხდეთ, ქვეშ ნაბადი გავიშალოთ, ზემოდანაც ნაბადი გადვიფაროთ, ერთმანეთს მაგრა მიეკრათ და იქნება ასე შეყუჟულებს ყინვამ ველარა დაგვაკლოსრა, და თუ მაინც და მაინც ნამქერი დაგვახრჩობს და რა გაეწყობა, უთუოდ ესა ყოფილა ჩვენი წერა.

სანდრას აზრი ყველას მოეწონა და საჩქაროთ შეუდგნენ ბუნაგის გამართვას: წინათ ამხანაგების გამოსაყვანათ ნათხარი თოვლი უფრო ამოალრმავეს, გააგანიერეს, ფეხებით გატკეპნეს ფხვიერი თოვლი, თხრილს კედლები მიუზეპეს რომ არ გადმონგრეულიყო, ლექსოს ახალი ნაბადი და ერთიც სხვისა ძირს გაშალეს და გამაგრებულ, მიყუდროებულ ორმოში ჩასხდნენ, ხელები უბეში ჩაიწყეს, ფეხებზე ზედ მოიკეცეს, ერგვლივ წამოიფარეს რაც კი ზემოდან წამოსასხმელი გაჩნდათ, თავზე ნაბადი გადიფარეს და ამგვარათ მომზადებულნი და გამაგრებულნი ხვთის განგებას მიენდნენ.

მალე ისე დათბა ათი კაცის ნასუნთქვით ამ თოვლის საფლავში, რომ ბიჭებმა ლაზღანდარობაც კი დაიწყეს; მოიგონეს ბევრი ავი და ბევრი კარგი თავის ცხოვრებიდგან და ხანდახან ზოგიერთების ხუმრობაზედ გულიანათაც ხარხარობდნენ, გარედან კი სთოვდა და სთოვდა; მოკეცილების თავზე გადაფარებული ნაბადზე დიდი კამარა შეჰკრა და ამათი სამყოფი უნიშან—კვლოთ გახადა თვალისათვის.

—

მთელი ღამე რუსუდანმა გიჟივით შესელა-გასელაში გაათენა; ეს მალმალ მიიფარებდა თვალებზე ხელებს, გაიყურებოდა სიბნელეში დაკვირვებით, დაჟინებით, გულის კანკალით, მაგრამ ძრიელი თოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, შეუწყვეტლათ, გულის გამგმირათ იბარდნებოდა და რუსუდანის მეფერეტელობას ერთ ნაბიჯზედაც არ აძლევდა ნებას გაერჩია რამე. განთიადი მოტანებული იყო, მაგრამ ეკლიანში ამ ღამეს მეკვლის ხონჩისთვის ხელი არავის უხლია. ყველა ოჯახი ისე იყო შეწუხებული, ყველა დედის გული ისეთის ვარმით იყო სავსე, რომ ეს საგანგებო ჩვეულება, მილოცვა შუაღამისას მეკვლესაგან ყველას დაავიწყდა.

ირეკრაქა თუ არა, მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ყველა ბოსლებიდგან საქონელს ერეკებოდა. აქა-იქ მარხილებს აბამდნენ და ზედ საბნებს, ბუმბულის ბალიშებს აღაგებდნენ, არყის ბოთლებს აწყობდნენ მარხილზე დაგებულ თივაში. დედაკაცები დაკარწახებულნი, ყავარჯნებით ხელში, ყველაზედ წინათ გაემზადნენ. ყველას უნდოდა მონაწილეობა მიეღო, ყველას უნდოდა ხელი გაენძრია ძვირფასი ვაჟკაცების მოძებნაში.

განთიადისას ქარი ისევ ამოსისინდა და ღრუბლები გაფანტა. თოვლა შედგა და აღმოსავლეთი ალისფრათ შეიღება. ეკლიანელებმა ეხლა კარგათ გაარჩიეს საითაც უნდა წასულიყვნენ საძებნელათ, წინ გაირეკეს გზის გასატეხათ აუარებელი საქონელი, უკან მისდევდნენ სათბუნებლათ და ხორაგეულობით დატვირთული მარხილები და სულ უკან თვალებ დაწითლებული და ვარმით გულსავსე დედები.

შუადღე მოტანებული იყო, რომ ამ პროცესიამ დიდის ვაი ვაგლახით, დაღალულ-დაქანცულმა, თავ-პირ გაყინულმა, ძლივს მიაღწია სტანციამდე. და რაკი აქ არ დაუხვდათ ვისაც ეძებდნენ, მწუხარება უფრო გაუორკეცდათ. მოთქმა-ტირილი და თავში ცემა დედაკაცებისა გულ-ქვა ადამიანსაც კი აატირებდა.

ეკლიანელებს მიემატათ სტანციის ახლო მახლო მდგომი ხალხიც და ეს აუარებელი დუნდგო მოედო იმ მინდორს, რომელიც ეკლიანსა და სტანციას შუა მდებარობს.

მაგრამ მინდორი, როგორც ზღვა ისე უძირო და უსამზღვრო

1989

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალ გადუწვდენელ თოვლის, პირ გადალესილ მიდამოს წარმოადგენდა; არსად არც ბუჩქი, არც ხე, არც გორაკი, ღელე არ გაირჩეოდა, მხოლოდ ალაგ ალაგ ზენა ქარი ანიავებდა თოვლს და თავ. პირში აყრიდა დაღუპულთა მეძებართ.

ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა და სახლში აპირობდა დაბრუნებას, მაგრამ გამწარებულმა მშობლებმა შეჰლაღადეს; „ო, ქრიტიანებო, ნუ გაგვწირავთ, ცოტა კიდევ გაისარჯეთ, ცოტა... თქვენი ხვთის გულისათვის!

ამ ღრიალში და ვაი ვაგლახში გაისმა ძაღლის ახირებული ყეფა. ორი მეძებარი მისდგომოდა ერთ ალაგს და დაჟინებით ჰყეფდნენ, ფეხებით, პირით სთხრიდნენ ‹ თოვლის კორიანტელს აყენებდნენ.

— ღმერთო, ღმერთო, შენ გვიშველე, შენ ჩამოგვხედე! —გულის კანკალით სთქვა სესიამ, როცა ეს გარემოება შენიშნა. —კაცებო, აბა იქ, იქ ნახეთ! ძაღლი არ შესცდება, რაღასაც ეძებს, ნახეთ! —და თითონ მუხლ-მოკვეთილი დაეშვა მარხილზედ.

— ღმერთო, შეჰყვირეს სხვებმაც და გადაეშვნენ ბარ-ნიჩბით, კეტებით; დედაკაცები ხელებით არღვევდნენ მიზვავებულ თოვლს. პატარა ხნის მუშაობის შემდეგ ნაბდის ბოლომ გამოჰყო თავი და ეს ერთად ერთი შავი წერტილი იყო ამ თვალგადუწვდენელ თეთრ სუდარაზედ.

— ხვთისმშობელო, ხვთისმშობელო, დაიჩოქეს დედაკაცებმა და ხელები ააპყრეს, ხვთისმშობელო, ნუ მოგვასწრეფ თუ გაყინულან, ნუ მოგვასწრეფ, უწინ ჩვენი სული მიიბარე; ხვთისმშობელო!-და კბილების კაწკაწით, თვალებ დაჭყეტილნი, გულის ცემა შეჩერებულნი, მოელოდნენ...

—

მრავალი ხელი მუშაობდა, ყველა სულ განაბული მოელოდა, ყველა იმ აზრით იყო შეპყრობილი: ათი ვაჟკაცი—ძალა, სიმშვენიერე და საყვარელი მთელის სოფლისა სუნთქავს კიდევ, თუ ქვათ არის ქცეული სასტიკის ბუნების მრისხანებისაგანო?!

თოვლისაგან განთავისუფლებული ნაბადი გადახადეს და ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამ ერთბაშათ შეჰკიეღლეს: პირის-პირ მსხდომი ათი ვაჟკაცი გაჰოურკვეველის ღრმა ძილით იყვნენ შეპყრობილი. ყინვას ძალზე შეეჩერებინა იმათ ძარღვებში სისხლის მდინარება, მაგრამ სიცოცხლე კი ჯერ არ მოესპო.

— არიქათ, დედაკაცებო, არაყი! შეჰყვირეს მთხრელებმა და დაიწყეს ცოცხლათ დამარხულების მობრუნება.

ცხარე არაყმა, მშობლების გაქანებულმა თავ-პირის და ხელ-ფეხის ზელამ მალე აახელინეს თვალი დაღუპულებს, მაგრამ სრული სიცოცხლის, მოძრაობის დაბრუნება აქ, ამ ქარიშხალში, შეუძლებელი იყო.

ხუთ ხუთი ვაჟკაცი დააწვინეს ოთოო მარხილზედ, ზედ დააფარეს აუარებელი საბან-ბალიში და წყნარაო, ჩუმათ, თავჩაკიდებულნი სოფლისკენ წამოვიდნენ. იქ ყველა სახლში აღგზნებული ცეცხლი ენთო და ყველას გული მოუთმენლათ მოელოდა სოფლის დამამშვენებელ ყმაწვილ ბიჭებს. [1])

ეკ. გაბაშვილისა.

[1]) ავტორის მართლ წერა დაცულია. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქროს ნატვრა.

(ამბავი)

ეტავი ერთი წაღები კი მომცა და სხვა არაფერი მინდაო, ნატრობდა პატარა ზაქრო. სხვის ფეხზე რომ წაღას დაინახავდა—ზაქროს გული შურით ევსებოდა. მართალია, კარგი გრძნობა არ არის შური, მაგრამ ჩვენ ზაქროს ცოტათი მიეტევება: იმას თავის დღეში წაღები არა ჰქონია. რაც ფეხი აიდგა, სულ ჰერანგისამარა დადიოდა. ჰო, ერთხელ კი შეუკერეს „ხამის“ შარვალი, მაგრამ ტოტები მალე შემოიხია და მუხლის კვირისტავებიც გამოჰქონდა. ქარი თავისუფლათ დასეირნობდა იმის მუხლებზე და ტანზე. ზაფხულში ხშირათ ტიტვლიკანაც კი დაკოხტაობდა ჩვენი ზაქრო. ფეხშიშველა სირბილით ზაქროს და იმის დებს ფეხის გულები და მეტადრე ქუსლები ისე გაუმაგრდათ, რომ ზედ ფერადი მაფით ჰკერავდენ სხვა და სხვა სახეებს. ღვთის წინაშე, თქვენი უმორჩილესი მონაც კი მოიქარგავდა ხოლმე პატარობაში ქუსლებს, მაგრამ ზაქრო მთელ ფეხის გულსაც აიჭრელებდა ხოლმე.

ზაფხულში ზაქროს საქმე არ უჭირდა: სიცხე იმას ვერაფერს აკლებდა, ეკალს სომ ადვილათ იცურებდა იმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ფეხი. თუ ეკალი შეერჭობოდა, ის უფრო დიდი ეკლის შემწეობით ამოიღებდა მას, დადებდა ცეცხლზე და თან ეუბნებოდა: „როგორც მე დამწვი-დამდაგე, ისე შენ დაიწვი, დაიდაგეო“. და ასე რომ ამოიერიდა ეკლის ჯავრს—ისევ ხტუნაობას იწყებდა.

ზაქროს მამა თევდორეს ერთი წუვილი წაღა ჰქონდა. იმ წაღებში დაიწერა ჯვარი ჯერ თევდორეს ნეტარხსენებულმა უფროსმა ძმამ და მერე თევდორემაც, და აი, აქამდის ინახავდა. აღდგომას და ახალ-წელიწადს თუ ჩაიცვამდა, თორემ სხვა დროს იმას ისინი არ აგონდებოდა. სწორეთ ამ წაღებს ემტერებოდა ზაქრო. გაიგულებდა თუ არა მამას, ზაქრო მოძებნიდა წაღებს, ჩაჭეოფდა შიგ ფეხებს, ეელები ხელში ეჭირა, ფეხიდან არ გამმვრესო და ისე დაფრასუნობდა.

შურის თვალით უეურებდა ზაქრო თბილათ ჩაცმულ ემაწვილებს, რომლებიც თოვლის გუნდაობას თამაშობდენ. „ასე გონიათ ზაფხული იეოს, ისე-კი დახტიან ი წუწკები“, გაიფიქრა ზაქრომ და სათონისკენ გაიქცა. გუშინდელი ნახურები თონე ჯერ ისევ ცხელი იეო. ზაქრომ ერთი ფიცარი გადასწია, ჩამოჯდა ნაპირას და ჩაჭკიდა თონეში ფეხები. ვერ გაუძლო სიცხეს, ამოვიდა, მოიტანა რამდენიმე თოვლის გუნდა და ისევ ჩაჭეო ფეხები. მალ-მალ ამოჭეოფდა ფეხებს, წაისვამდა თოვლს და ისევ ჩაჭკიდებდა. ეს გართობაც მალე მოსწეინდა. შეირბინა სახლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კუთხეში მიიკუნჭა. ფიქრებს მიეცა ზაქრო. ხვალ და ბრუნდება მამა ჩემი... და ბევრ ფულებს მოიტანს... იქნება მანათათაც გაეიდოს შეშა. არა, მანათი კი არა, იქნება სამი აბაზიც მოიტანოს. „ოცმოცი“ შაური რო მისცენ, ხომ წაღებსაც მიეიდის! გზაზე რო ერთი ჰარკი ფული იპოვოს... და აი, მოვიდა იმისი მამა. ზაქროსთვის ერთი წუვილი წაღა და ერთი წუვილი ჩუსტი უეიდნია. წაღებს ბჭუვრიალა ეელები აქვს... სწორეთ ისეთი, შარშან რო ქალაქელ ემაწვილს ეცვა. ზაქრო ჩუსტებით ივლის; წაღებს-კი მარტო აღდგომას და ახალ წელიწადს ჩაიცვამს. ხშირათ რომ ჩაიცვამ, ხო აღარ იბჭუვრიალებენ! და კიდეც დაენანა ზაქროს ის წაღები, რომლებზედაც ფიქრობდა.

— ძოდი, ბიჭო, ე აკვანი მაიხეთ გადაარწე! რა კუთხეში მიჰკუნჭულხარ? დაუძახა დედამ.

ზაქრო ახლა-კი გამოერკვა ფიქრებს. მივიდა და ჯახაჯუსით დაუწეო რწევა აკვანს. წაღები დროებით გადაავიწედა.

თედორე რომ ქალაქიდან დაბრუნდა, შუადამე იქნებოდა. იმის ხმაურობაზე ზაქროს დედას მალე გამოეღვიძა-და კარი გაეღო. თევდორემ ხარები დაებინავა და შინ შევიდა. თუმცა ძალიან შეცივნოდა, მაგრამ მაინც მხიარულათ იეო. შეშა კაი ფასათ გაეეიდა. ხმაურობაზე ემაწვილებსაც გამოეღვიძათ. მაძას ქალაქური თეთრი ჰური მოეტანა. გაინაწილეს ბალღებმა და ლოგინშივე დაიწეეს ჭამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ოჯახი გამხიარულდა. ზაქროს ცოტა იმედი მიეცა: იქნება ახლა-კი მიეიდოს მამაჩემმა წაღებიო.

— მამი, მამილო, მორცხვათ დაუძახა ზაქრომ თავის მამას.

— რა გინდა, შვილო?

— წაღები მიეიდე, ხმის დადაბლებით უთხრა ზაქრომ და მუხლებზე მოესვია.

— რაო, რა გიეიდო?

— წაღები, ჰატარა წაღები...

— მამა გიცხონდა! მეც წაღებისგან არა მაქვს ფეხზე მაზოლები?! ბიჭო, და.... მე შენოდენა-კი არა და ნახირშიაც დავდიოდი, რო ქალამნებიც არ მეცო, შენ-კი წაღებიც მომინდომე!

— კალოშები-კი არა გნებავს, ემაწვილო? დაუძახა კმკმ.

ზაქროს ეწეინა და ტირილი დაიწყო.

— კარგია, შვილო, კარგია... ნუ ღნავი, ე ბალღი არ გაალვიძო! ეი მეორეთ ქალაქში ჩავალ და წაღებს გიეიდი. ზაქრო ნელ-ნელა დაშოშმინდა. მალე მთელი ოჯახი ძილს მიეცა.

—

ბედმა გაუღიმა ზაქროს: საახალწლოთ თეოდორემ კაი ფასათ გაჰყიდა ინდოური და ერთი კალათა კვერცხი. ბევრი რამე უჭირდა იმის ოჯახს, მაგრამ მაინც გაბედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევდორემ და უყიდა ზაქროს წაღები. ცოტა ნახმარები იყო, ძირები გამოკერებული ჰქონდა, მაგრამ მაინც წაღები იყო. ახალი დავაქსილები იყო და ისე ბჯეგრიალებდენ, რომ თითონ თევდორესაც არ მოჰსვლია ფიქრათ —ძველებიაო.

მოდის თევდორე და თვალ წინ უდგია, რა ნაირათ გაეხარდება ზაქროს; როგორ მიესაუვარლება ის თავის „მამილოს", თითონაც-კი ეჩქარება შინ მისვლა.

აი, დაინახა ზაქრომ თავის მამა და მიეგება.

— ქალაქში იყავი, მამი? რა მომიტანე?

— არაფერი, შვილო, რა უნდა მომეტანა? აი ცოტა-ოდენი თაფლი ვიყიდე და გოზინაყს გავიკეთებთ.

— დიახ, დიახ.,. შენ თვალებზე გეტყობა, რო წაღებს მიყიდდი.

ველარ შეიკავა თევდორემ თავი და უთხრა:—„გიყიდე მაშ!"

— მამეცი, მამილოჯან, მე შევიტანო ხურჯინი.

— დამაცა, დამაცა, ე თაფლი არ დამაღვრევინო!

— დედი, მაშო, კეკე,—მამას წაღები უყიდნია!

— მაშ არ გიყიდდა!

— ზიარების მადლმა!

ამოიღო თევდორემ ხურჯინიდან წაღები და ზაქროს მიაწოდა. იმან გულში ჩაიკრა წაღები. დებმა ხელიდან გამოჰგლიჯეს და შინ ჯვა დაუწყეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაღები ზაქროს ფეხზე კარგათ მოუვიდა, უნდოდა გარეთ გასულიყო და ტოლებისთვის შეეშურებინა, მაგრამ თავი შეიკავა და სახეგიოთ გადადო, რადგან ზეგ ახალი წელიწადი თენდებოდა. ზაქრომ წაღები გაიხადა: ძირებზე მიწა მიჰკრობდა, იმან ჯერ ხელი გადუსვა და მერე ჰერანგის კალთით გადაწმინდა; ჩამოჰკიდა ლურსმანზე და სიამოვნებით შეჰყურებდა. იმ დღეს ბევრჯელ ჩაბოიღო და ჩაიცვა, მარტო ტახტზე დადიოდა: არ გამიფუჭდეს წაღებიო.

— აბა ახლა რაღას მიზამს ეკვი? ესეც ახალი წაღები!

—

გათენდა ახალი წელიწადი. ზაქრო წაღებში იყო გამოწყობილი. მეზობლებში დილითვე მიირბინ-მოირბინა, სანამ ეინული არ გამხვალიყო, რაკი ატალახდა, ზაქრო გარეთ აღარ გავიდა; ეშინოდა წაღები გამიფუჭდებაო. ეველანი აქცევდენ ეურადღებას ზაქროს მორთულობას. ტოლები შენატროდენ.

ალ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატვრა.

ტიკომ წიგნი დაკეცა
და თავი მისცა ოცნებას:
ითვალისწინებს წაკითხულს,
იგონებს გმირთა ცხოვრებას,
რომელთაც თავის ქვეყნისთვის
სიცოცხლე არ დაიშურეს;
საძაგიერროთ უკვდავი
სახელი დაიმსახურეს.

და გულში ამბობს: „ნეტავი
მეც იმათ შევედარროვო,
და საყვარელსა სამშობლოს
ვუშველო, მოვეხმარროვო.

„ოჰ, ნეტა გამოვიზარდო
ლირსი მამულის შვილიო:
მისთვის ვიცოცხლო, მისთვისვე
ვიგემო მე სიკვდილიო!...“

ასე ნატრულობს ტიტიკო
და, თვალებ გაბრწყინვებული,
ოცნების ზღვაში დასცურავს,
წრფელ გრძნობით აღფრთოვნებული!

დუტუ მეგრელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ გ ლ ე ბ ი.

(ნამდვილი ამბავი).

ბორს, ძალიან შორს არის გადაჭიმული შირაქის ველი. აქ სოფლებს ვერსადა ჰნახავს კაცი. აქა-იქ მხოლოთ ფშაველებისა და თუშების ფარეხები მოჩანან და წიგის ცეცხლის ბოლი იძაფება. აქ ღამე ვერცარავინ მამლის ყივილს გაიგონებს, მხოლოთ დაყმენდილი მგლების ყმუილი მოისმის ივრისა და ალაზნის ჩალიანი ნაპირებიდან და მეცხვარეების ძაღლების წკავ-წკავი და ყეფა. თოველი იშვიათათ მოვა და როცა კი დათოვს, მაშინაც დიდხანს არ გასტანს ხოლმე. შირაქის მცხოვრებელი მეცხვარეა თავის ცხვრის ფარების და ნახევრათ განადირებული ცხენების ჯოგების. მგლებიც მეცხვარეებთან ერთათ მთა-ბარობენ; ზაფხულში მთაში დასდევენ ცხვრის ფარებს და ზამთარში შირაქს ეტანებიან,—საჭმელი მუდამ ეგულებათ, თუ ცოცხალი არა, მკვდარს ხომ ბევრს გადმოჰყრიან მეცხვარეები. თუ ისიც არ არის და მაშინ გაონავრებულები ასდევენ და ჩასდევენ საქარავნო გზებსა. მინდვრის მგელი საშიშია, იტყვიან მეცხვარეები, ნამეტნავათ როცა ჯოგშია. კაი ბიჭი უნდა, რომ იქ თოველიან ზამთარში ღამე გაბედოს და შორს მანძილზე წავიდეს.

—

ახალწელიწად ღამეა. შირაქის მინდორზე თოველი ძევს. აქა-იქა ბინებზე ძაღლების ყეფა ისმის, ქევხა (მდიდარი) ხარანაულის ბინაზე შეყრილან ფშაველებ-თუშები და საუბრობენ თავის ნაცად-ნახადზე. ალაზნის მხრიდან მგლების ყმუილი მოისმის. ეტყობათ, რომ მგლები გზის პირს მოსდევენ.

— ციცი ზამთარია, თქვა თუშმა ლეომა, ე ოხერი მგლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან იტანებიან. ლამის ფარეხები გამოგვითხარონ მაგ ოხრებმა. კაი ხანია, ასე მრავლათ არსადა ყოფილან. მაგათი ყმუილი უერთოთ არ ჩაძირდება (ჩაივლის), ნავნებს იზმენ რასმე. მინდოდა ხვალისთვინ ლაგოდეხს მწყემსი გამეგზავნა, ღვინო გადმამეტაინებინა ბედნიერი დღისთვინა, მაგრამ ვერ გავბედე ნადირის შიშითა. ვიცოდი თავის დროზე ვერ გადმოვიდოდა და ღამე სიარული ემ დროს საშიშია.

— ღვინო ჩვენც გვინდოდა, თქვა ხარანაულმა, მაგრამ ისევ ხვალ დილით ცხენით გავაქცევ და კიდევ მალე მოგვასწრობს.

— სუთ, სუთ! დაიძახეს რამდენიმე ბიჭმა ერთათ, აბა ყური დაუგდეთ, იმ ოხერი ერთი მგლის ხმა როგორ ერჩევა, როგორა ღრიალებს!

მართლაც მოწმენდილი ცა და დაყუჩებული ჰაერი იყო. ისეთი გულის შემზარავი ყმუილი ისმოდა რო იტყოდით მთელი მინდორი მგლებათა ქცეულაო. იმათში უფრო გამორკვევით ერთი მგლის ხმა ისმოდა, რო დაიღრიალებდა, იტყოდით დედა-მიწას გულიდან მოსწიაო, გაბამდა და ბოლოს თითქო იხრჩობაო, ხრიალით დააბოლოვებდა, მთელი მინდორი კვნესოდა. შეშინებული ძაღლებიც სულ ერთმანეთს ეკვროდენ და საცოდავათ გაჰყმუოდენ ალაზნის პირისაკენ....

— სწორეთ ეს დრო იქნებოდა, ბიჭებო, დაიწყო ხარანაულმა, ფშავში მივდიოდი. ძალიანა ჰყინავდა და ახმეტაში შევსადილდი. ცოტა ღვინო გადავკარ სითბოსთვის და ამის გამო შემიგვიანდა. მაღალ ახადს [1]) რო შევუდეგ, დალამდა. მთვარიანი ღამე იყო და რაკი თოვლიც იდო, დღესავით იყო გავარვარებული მთელი კახეთი, მარტო ტყე იყურებოდა შავათა. რამდენიც შეღამდა, უფრო ბ უფრო მოუჭირა ყინვამ. ქალმები რკინასავით დაიყინა და დაილესა, გზას სულ ლაწალუწი გაჰქონდა ფეხებ ქვეშ. ცხენი მყვანდა, მაგრამ ამ სიცივეში ცხენზე რა შემსვამდა. ქვეითათ მივდიოდი. გძელი ვ-ხშმობა

[1]) მაღალ ახადი დიდი ტყიანი ქედია თიანეთსა და ახმეტას შუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებოდა, რო ავანახევრე მალალ ახადის მთა. თან ჩემი ყელჭრელი ხირიმი [2]) მქონდა, მაშინ ხო ბერდენკები არ იყო. გამეგონა და ვიცოდი კიდეც, რო მალალ ახადაზე მგლები იცოდა ჯ მეც ფთხილათ ვიყავ. ღვთისა წინაშე შიშით არ მეშინოდა, მე მგლებს არაფრათ ვაგდებდი; თოფიან კაცს როგორ შეჰბედვენ მეთქი, ვამბობდი, თუ კი ვაქკაცი ვარგა და ან გული შერჩა მეთქი.

მე არხეინათ მივდიოდი, რო თოვლის ხრიალი და ფეხის ხმა შემომესმა. ცხენმა ყურები ცქვიტა და უკან-უკან წევა დაიწყო. მე თვალი გზაზე დამრჩა. ესე ოცდაათი ნაბდის გაშლაზე [3]) ერთმა მგელმა გზა იადამიჭრა და გზის ნაპირზე დადგა და ცქერა დამიწყო. თან თოვლს დაუწყო ფეხებით თხრა და აქეთ იქ-თ სროლა, როგორც ძაღლებმა იციან ხოლმე მტრის დანახვაზე. მე ცხენს გავუჯავრდი, რო მომყოლოდა, თოფი გადმოვიღე და პირდაპირ წაველ. იდგა ისიც, იდგა და რაკი შემატყო, რო თოფი აქვსო, იკადრა და გორის პირისკენ გადახტა. თოფის ხელმეორეთ გატენა მეზარებოდა იმ ყინვაში, დამეგვიანდებოდა კიდეც და იმიტომ აღარ ვესროლე. არხეინათ გავსწიე. ცოტა ხანს შემდეგ გორის პირიდან საზარელი ყმუილი შემომესმა. ყმუილს გალმა-გამოლმა ამ გაუვალმა ტყემ ხმა მოსცა და შორს, შორს ხევ-ხევში ჩაიღუპა. მშიშარა არა ვარ, მაგრამ ამ ხმაზე სულ ჟრუანტელმა დამიარა ტანში. კიდევ დაიყმუელა და ხევებიდან გაყინულმა ჭირხლმა წკრიალით დაიწყო ჩამოდენა ძირსა. ორჯელ თუ სამჯერ კიდევ დაიყმუელა და ძერე გაჩუმდა. ცოტა ხანი გამოვიდა და დაილტოს მხრიდან ხმა მოსცა ერთმა მგელმა. მეორემაც გალმიდან მოსცა ხმა. მალე იმათ მესამეც მეემატა და გაბეს საზარელი ყმუილი. მე ვიცოდი ეს ყმუილი რასაც მოასწავებდა და ფეხს ავუჩქარე. გაქცევა კი არ მინდოდა და ვერც გავიქცეოდი, რადგან უფრო საშიში იყო. მგლების ყმუილი თანდა-

[2]) ხირიმი (ყირიმი) საუკეთესო თოფთა ითვლება ქართულ თოფებში, ული ოქროთი აქვს შოსარჩაული.

[3]) ნაბადის გაშლა—ერთი საუნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ახლოვდებოდა. ეხლა ველარ ვარჩევდი, რამდენი ყმუოდა. ბეჩავი ჩემი ცხენი ასეთი იყო, სულ ფრუტუნებდა, ფთხებოდა და ურდოდა გაქცევა, მაგრამ გაჭირებაში მე იმის იმედი უფრო მქონდა. მზესავით მთვარე იდგა და ჩემ წინ და უკან ისე ჩანდა გზა, თითქოს ხელის გულიაო. უკან მივიხედე და წელანდელი მგელი დამხვდა წინა, ამდენნებოდა და ელქეშათ [4]) მომდევდა. იმან იცოდა, რო სხვებიც მიეშველებოდენ და იმიტომ იყო ისე გულადათა. მართლაც იმედი არ გაუცრუვდა. მოსახვევი გზა გავიარე და წინ ორი მგელი ამეყუდა.

აქეთ-იქით ცეცხლის ნაპერწკლებივით დაიწყეს მგლ ს თვალებმა ციელაობა და ჩემს უკან გზაზე და გზის იქით-აქეთ შემომწკრივდა ერთი ათამდე მგელი. ამათ ყმუილი შესწყვიტეს და მხოლოთ შორს, ციგგომბორის მთის ტყეებში ღა ისმოდა კიდევ სხვა მგლის ყმუილი. ის კი მე რას მიზამდა, ალბათ იმან იქ სხვა თუნახა რამე კბილის გასასველებელი და ამხანაგებს ეძახდა. ის ორი

[4]) ელქეშათ — შორი ასლოს, ნელა-ნელა, გაუგებრათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი ზედ შუა გზაზე გაიხიდენ, ერთი წამოწვა ტოტებზე, თითქო გადაფრენა უნდაო და მეორე კი გაშეშდა და არ მაშორებდა თვალსა. წასვლას ეღარ აპირობდენ. მეც გადმოვიღე თოფი და ჩახმახ შეყენებულმა იმათკენ გავწიე; სხვა გზაც არა მქონდა, რაც იქნებოდა, იქნებოდა, უნდა გამეველო. მართალია, ტყუილი კაცს შეარცხვენს, რო მოვიტყუილო რა იქნება, — შევკრთი, მაგრამ ეს ვიცოდი, რო კაცის გაშტერებულ თვალს ნადირი ვერ გაუმაგრდება და გზასაც თურმე ლომის მეტი ყველა მისცემს კაცს. მეც თუ მიშველიდა რასმე ისევ სიგულადე, თორემ თუ შევშინებულიყავ, საეშმაკოთ გავხდებოდი. ხელში გატენილი თოფი მეჭირა და ხანჯალიც მეკრა ვთქვი: თუ გზა არ დამიგდეს, ერთერთს თოფით გავაგორებ და ერთსაც დავხანჯლავ მეთქი.

გამიგონია, რომ თურმე თუ ჯოგში მგელი დაიჭრა და ამხანაგებმა სისხლი დაინახეს, მიეხვევიან და შესჭამენ. მგელიც რაკი კბილს გაისისხლიანებს, მერე უფრო საშიში ხდება და კაცსაც ადვილათ მიჰბედავს.

მე კიდე იმისი იმედი მქონდა, რო ნათელი ღამე იყო და მგლები ისე ვერ მომეპარებოდენ, რომ ვერ დამენახა. თუ ძალიან გამიჭირდებოდა საქმე, გულში ისე მქონდა, ცხენი უნდა მიმეგდო მგლებისათვის და მე თავისთვის მეშველა.

თქვენ კარგათ იცით, რო სანამ თიანეთს არ გადახვალ, არსად სოფელია და არსად სახლი. მართალია ტყე კარგია, მაგრამ ხეზე ასვლაც ხათაბალაა, ჯერ ერთი, ცხენს თავს ვერ დავანებებდი; მეორე ესა, რომ ხეზე სიცივე მომკლავდა, ან კიდე მგლები აამყრალებდენ და ჩამომაგდებდენ. აგრე ერთი ფშაველი ასულიყო ხეზე მგლებისგან გამოქცეული; მგლები ისე აყროლებდენ თურმე, რო კაცი დაბნედილიყო და სარტყლით რო არ მიეკვროდი ხეს, უეჭველათ ჩამოვარდებოდიო..

მიედიეარ მგლებისაკენ და დგანან ისინიც გაშეშებულები. რაკი მიეუახლოდი და მიეუახლოდი, როგორღაც შეთოთქროვდენ-შევატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყე. ისე ახლოს ვიყავი, რო იმათი სულის ქცევაც მესმოდა. მა'მინკი გადუდე ჩემი ხირიმი. თეთრმა სალტებმა და თოფის ბჭყვრიალა ლულამ რაკი გაიელვა, მგლები ისე გადახტენ ტყისკენ, რო თვალიც ველარ მოვკარ.

ჰაი, ბიჭებო, თოფს სხვა ზავთი [5]) აქვს, თოფის ლულის წინ ვინ არ შაკრთება, ვის არ მოაგონდება სიკვდილი.

რაკი ისინი გაიქცენ, სხვა მგლებიც უკან შედგენ. ვიარე მე და მდიეს იმათაც. ვერა და ვერ მომწონეს (შემბედეს). ბოლოს და ბოლოს, რაკი თიანეთისკენ გადავხედე, დამიწყეს მგლებმაც სათითაოთ ჩამოცლა. ბოლოს ორი-ღა მომდევდა. მგონი, წინ რო დამიდგენ, ისინი უნდა ყოფილიყვენ. რაკი სამმეიდობოს გაველ, მივუბრუნე თოფი და მიეახალე. ღმერთს მადლობა შევწირე გადარჩენისთვის.

— განა ბიჭებო, ბევრი თქვენგანი თავს შეირცხვენდა ჩემს ადგილას რო ყოფილიყო? დააბოლოვა ხარანაულმა.

ბევრმა გაიკვირვა ხარანაულის ნაამბობი და ბევრმაც, თავმომწონე ბიჭებმა იუკადრისეს იმისგან დამცირება.

— რათა, ჩემო ძმაო, ე ბიჭათ შენ ჩვენ ვერა გვჯობიხარ და თუ შენ ქართული თოფი გქონდა, ჩვენ ბერდენკებიცა გვაქვს. ჩვენ სულაც არ შეეპუებით მგლებსა, თუ კი საკმაო ტყვიები ვვექნება.

— თოფი ხო კარგია და კარგი, თქვა თუშმა ლეომა, მაგრამ გული ყველაზე მეტია, ბიჭებო. შეშინებული კაცი წარამარათ დაიწყებს თოფის სროლასა, პატრონებს ტყუილ-უბრალოთ დასწვამს და შეეჭმევა მგლებსა.

— მართალია, მართალი. მოუწონა რამდენიმე ხანში შესულმა მწყემსმა.

მხოლოთ ერთი თუში ნადიბაისძე იყო წიააღმდეგი,—ვერც შემაშინებენ მგლები და ვერც არას მიზმენო.

---

[5]) ზავთი — კატის სახის გამოძეტუგელებს ჰქვია, რომლისაგანაც მსასველი შიშსაცა გრძნობს და კაცისადმი ძალა-უნებურ პატივისცემასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გადაგხედია თავსა, ნადიბაისძევ, ძმაილავ, იმიტომ ამ-ბობ მაგრე, თორემ თუ სადმე დაგეხვიევენ ის ყურდაუჭრელნი, ავათ გაცვლეინებენ ფერსა. შეუხირდა ფშაველი ბეწინა.

— აი, ეს ბურთი და ეს მეიდანი, თქვა თუშმა ნადიბაისძემ, ახლაც ხო ნაკლები ლამე არ არის და არც ნაკლები მგლები; ხო გესმით რა ამბავი აქვთ. მე სანაძლეოსთვის ახლა ლაგოდეხს წავალ და იქიდან ღვინოს მოვიტან. ხო იცით, გზაც შორია და თავმოუ-ფარებელი მინდორიც, კაცს რო გაუჭირდეს, ერთ ხეს ვერა ჰნახავს. აი ვისაც უნდა, ათ თოხლზე დავენაძლევები. არც ცხენს წავიყვან, ლეოს ბერდენკას წავიღებ, ერთი ოცდა ათი პატრონა მომეცით და ხმალს შემოვირტყამ.

ნადიბაისძის სიტყვებზე მწყემსებს ჩოჩქოლი შეუდგათ.

—არ იქნება, შვილო, რა დროს სიარულია, ხომ არ გაგიჟდი, უთხრა ხარანაულმა, განა ვისაც თავი არ მოსძულებია, ეხლა კარში გავა?! მე კი შენ ცოდვას ვერ ავიღებ და სხვამ თავისი იცის.

— არა, ნადიბაისძევ, დაჯექ, შენს ქერქში ეგდე, გაუჯავრდა თუში ლეო, შენა, ძმაო, ერთ რასმე შეიმთხვევ და შენ დედ-მამასთან რა პირითღა მიგვესვლება. არა, თამარნეფის მადლმა მე კი ვერ გირ-ჩევ-და.

— ლაშარისჯვრის მადლმა შენ ტყუილაი ტრაბახობ, თუში ხარ, ცარიელა ტრაბახა, თორემ ვიცი რაც გული გჩრია, გაეპასუხა ფშაველი ბეწინა, შენ არ იყავ, შარშან რო თათრებმა გამოგაქციეს, ახლაც ისივ ნადიბაისძე არა ხარ?!

— მოდი და გაუწყრეს თამარმეფეცა, ალაევერდის წმიდა გიორ-გიც, წვერის წმიდა გიორგიც და ფშავ-ხევსურეთის სალოცავებიც, ვინც პირს გადავიდეს, მოდი, დამნაძლევდი ათ თოხლზე, თუ მე ამა-ღამ ლაგოდეხს გადაველ, იქ ხო ნაცნობი მედუქნე გვყავს, იმასა ჰკითხეთ, როდის მიველ, მაშინ ათი თოხლი შენ მომეც, ბეწინავ, თუ ვერ გადაველ და გზიდან დავბრუნდი, მე მოგცემ ათ თოხლსა, დაამთავრა ნადიბაისძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰა, ხალხნო, რას იტყვით, ყაბულსა ხართ, თუ არა?

— მე ყაბულსა ვარ, თქვა ბეწინამ.

ხარანაულმა და თუშმა ლეომ ბევრი უშალეს ნადიბაისძეს, მაგრამ არ დაიშალა.

დაარიგეს, ვისთანაც უნდა მისულიყო და კაცებიც დაესწრო.

აიღო თუშმა ნადიბაისძემ თოფი, პატრონეებით სავსე სასწრაფო, ახსენა თუშეთის სალოცავები და გაუდგა გზას...

მთვარემ გადუარა-შირაქის ველსა და ციეს (ციეი-ციე-გომბორის მთაა) დაადგა თავზედა. მრავალი და სასწორი საშუალამოს გადასცდენ. შორს, დასავლეთისაკენ, რომ ერთი ბეწვა ღრუბელი მოჩანდა, დაიკარგა. ცა ისე მოიწმინდა, თითქო ცოცხით დაუგვიათო. წვრილი ვარსკვლავები უფსკრულში მიმალულიყვენ და ოდნავ-ღა ციმციმებდენ. უფრო მსხვილ ვარსკვლავებს ბღვერიალი გაჰქონდათ. იმათ არც მგლებისა ეშინოდათ და არც ძირს ჩამოვარდნისა. უჰ, რა მაღლა იყვენ!

შირაქს ეძინა. არ ეძინათ ხარანაულის ბინაზე მწყემსებს. ან კი რა დააძინებდათ! სახუმარო საქმე ხო არ იყო. კაცი სახიფათო გზაზე იყო წასული.

— ძალიან მოეტყუვდი, თქვა ნაღვლიანათ ბეწინამ, რო ავუხიარდი; მე რო არ დავნაძლევებიყავ, ის ხო არ წავიდოდა. რო რამე აუტყდეს, კაცო, იმის ცოდვაში ხო მე ჩავდგები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა უშავსრა, თუ ყოჩაღათ მოიქცევა. თქვა ხარანაულმა. სიფთხილეს თავი არა სტკივა, ცხენები მზათა გყვანდესთ, თოფები და პატრონნეებიც მაამზადეთ, დაძინება არ იქნება...

ერთხანათ ძაღლებმა ხმა გასწყვიტეს და ღრმა ძილს მისცეს თავი. მგლებმაც ყმუილს უკლეს და ბოლოს სულ გაჩუმდენ.

— იქნება იმ ბალღმა ისახელოს თავი და მშვიდობით გადავიდეს ლაგოდეხსა! თქვა თუშმა ლეომა.

— ნეტავი არ იქნება! წამოიძახეს ყველამ ერთათ.

— მეძნელება კი, ლეო, და არ ვიცი, როგორღაც ცუდი მხარი მეუბნება. დაეპასუხა ხარანაული.

ამ ლაპარაკში იყვენ, რომ ძაღლებმა საერთო ყეფა და განგაში ასტეხეს.

მწყემსები მაშინვე გარეთ გამოცვივდენ. ზოგი ფარეხის ბანზე ავარდა.

— თოფის ხმა იყო! დაიძახეს ფარეხზე მყოფებმა.

— თამარმეფის გამარჯვებამ, თოფის ხმა იყო! აგერ მეორეც გავარდა!

მართლაც პირველ ხმას მეორეც მოჰყვა, მესამეც და მერე დატყვრა ზედიზედ.

— არიქათ, ჩქარა, ბიჭებო, ცხენები! ჩქარა, თორემ საქმე თუ არ უჭირდეს, არ დაიწყებს მაგრე სროლასა.

ზოგი თოფისთვის გარბოდა, ზოგი ცხენზე ჯდებოდა. სულ ერთ წუთს უკან ლაგოდეხისკენ მიმავალ გზიდან ცხენების ნალის წკრიალი ისმოდა და მწყემსების თოფის ხმა..

მართლა და თუშს ნადიბაისძეს დიდი გაჭირება ადგა.

მწყემსები რო მიეიდენ, მგლის ჯოგი გაქცეულიყო მათ მიახლოებაზე. ნადიბაისძეს თოფი გადაეგდო და ოთხივ-კუთხივ ხმალს იქნევდა, თანა ჰკიოდა. იქვე ორი მგელი შუაზე გაჭრილი ეგდო.

ბევრი უყვირეს მწყემსებმა, ბევრი უძახეს, ნულარ გეშინიან, ჩვენა ვართო, მაგრამ იმას ვეღარა გააგონეს-რა.

თ. რაზიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყის სურათები.

ბაბილათ ღულუნებს ქედანი
გამხმარ ხის წვეროკინაზე;
ბარაბ სიცხისგან დაღლილი
ველარ მისულა ბინაზე.
თავთუხით, ბურის მარცვლებით
ჩინჩახვი გაუტენია,
რაკი ტუეთ გამოუვლია
ამ ხეზე დაუსვენია.
ქარს ამოიღებს თუ არა
და სიო ასისინდება,—
ტუეს იქით შვილებისაკენ
გაჭკრავს ფრთას, გადაფრინდება...
აგერა ჩვენი ლამაზი,
ჩვენი ღულუნა ტრედიცა,
იმასთან ერთათ მოწყენით
ჩამწკრივებულან სხვებიცა.
სიჩუმე წუნარის ღულუნით
ვერც ერთს ვერ დაურღვევია,
როგორც სჩანს, ეველა მაოგანი
ვიღასაც გამოჭქცევია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ულრანს ტეეში გამხმარ ხის
ტოტებზე ინაბებიან,
გულის ფანცქალით ითქმენ სულს,
ტეის სიგრილითა სტკბებიან.
ნუ კრთით, აქ მონადირისა
თვალი ვერ მოგეკარებათ;
ვერც შავარდენი დაგკრავთ ფრთას,
ვერც ქორი მოგეპარებათ.
ერთია მთებში წასული,
მეორე დაჭრის ბარათა,
მინდვრებში დამწყერ-ჩიტაობს,
ნიბლიებზეა მწურალათა...
უზარ-მაზარ ხეს კოდალა
ზედ წელზე შემოსჯდომია:
მაგნე ჯიებს და მის შუა
გაცხარებული ომია.
ჯიები შიგნით იწევენ,
კოდალა ლალავს გარეთა;
ზოგს ტკბილათ სანსლავს მუცელში,
ზოგს ზედვე სრესავს ბწარეთა!
არ ინდობს დიდს და პატარას,
ავია, ულმობელია,
უწუალოთ ყლეტავს რაც სჯამს ხეს,
რაც მისთვის მაგნებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუსვი, გაჭკა, კოდალავ,
შენი დედ-მამის ლხენასა!
სხვის ხორცის მჯამელს, სისხლის მსმელს,
მუსრი გაავლე ეველასა...
აი მასხარა, ოხუნჯი,
თავსასიკვდილე, წეული,
მოუსვენარი ჯაფარა,
ეშმაკათ გადაქცეული.



კუდიანს ხმა და კილოში
ვისთვის არ მიუბაძია,
ჭინკების ფესის მომჭმელი,
რომ უთქვამთ, სწორეთ ქაჯია.
წელან საბრალო კურდღელი,
ეურ-ცქვიტა, ეურებ-წკაპუნა,
მოვიდა სახლთან, ბაჭიებს
კარები დაუკაკუნა.
და ეს კი ამ დროს უცნაურ
კილოთი გაეხმიანა,
საწყალს გული მოსაბრუნებლათ
სიტყვაც კი დაუგვიანა.
ზოგჯერ ბებერი კაცივით
მოჰყვება ქოშინ-ხველასა...
არ იცით ერთხელ რა უეო
ამ ქაჯმა წეული მელასა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელა მივარღნილ ტეის ბირში
ჭრელ დედალს შეექცეოდა,
რას იფიქრებდა, კაცის ხმა
თუ აქაც მოეწეოდა.
სად იყო ჩხიკვი, სად არა
გაუტეხრა, როგორც სატანა,
წამოეპარა, ბოხის ხმით
დაჭკივლა, დაუტატანა!
ვიღასღა ახსოვს დედალი,
ან სადღა არის მელია?
ტეეს იქით კიდევ დიდი ტეე
სულ რბენით გადუთელია!..
ვინ მოსთვლის ამის ოინებს,
ჯაფარას ეშმაკობასა?
უველას რომ მოვუვე, ვერ დავთვლი,
ვფიცავ ოქვენს ქორფა ძმობასა.

შ. მღვიმელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მრავლდებიან ფრინველები.

ბაზაფხული დგება, ბუნება იღვიძებს და საპატარძლოთ ირთვება. ფრინველებმა ასტეხეს ჟივილ-სივილი, აღტაცებით ეგებებიან ბუნების ქორწილს, ტკბილი ჭიკჭიკ-გალობით ცას შეჰხარიან, არემარეს სულს უდგამენ, მაურათა და მახარობლათ დაფრინავენ.

ბუნების მეჯლისზე ეშხით დამთვრალნი, თითონ ფრინველნიც ზიზილ-ბაბილებით იმოსებიან, საქორწილოთ ირთვებიან, მეფე პატარძალნი წყვილ-წყვილათ დაფრინავენ, ცასა და ქვეყანაზე სიცოცხლეს ავრცელებენ, სიყვარულს აძტკიცებენ და თითონაც ქორწილდებიან. სიტკბოთი და სიხარულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყებენ ახალ სიცოცხლეს ახალ ცხოვრებას; ცისკრიდან მწუხრამდე საამოთ გალობენ, ცელქობენ, ალერსობენ, თამაშობენ, არც სთესენ, არც მკიან, უნაღვლელათ, უდარდელათ დროს ატარებენ.

ამ განუწყვეტელ სიამოვნების დროს ფრინველებს სულაც არ ავიწყდებათ ბუნების ვალი—ზრუნვა მომავალ თაობისთვის. მთელი დღე მუშაობენ, ბუდეებს აშენებენ და ვიდრე დედალს კვერცხის დადების დრო მოუვა, ბუდე უკვე მზათაა. უფრო ხშირათ ბუდის აშენებაზე მარტო დედალი მრომობს, ამ დროს მამალი ახლო-მახლო ზის და თავის სატრფოს გალობითა და სტვენით ართობს. ზოგ ფრინველებში კი მამალი ან მარტო აშენებს ბუდეს ან დედალს შველის. ეს ზრუნვა და მუშაობა ფრინველებს როდი ემძიმებათ, ტვირთათ როდი მიაჩნიათ, ჰირ იქით სიხარულით ფეხზე ველარ დგანან, მოუთმენელათ, გულის მგერით ელიან იმ ტკბილ წამს, როდესაც თავისი მსგავსი წიწილები გამოიჩეკებიან და ჯრელ ფუნჩულა შვილებს ეღირსებიან...

აჭა დადგა ის დროც, დრო ნეტარებისა. აგერ სურათს დააცქერდით: წიწილები რიგი კიდეც გამოჩეკილა, რიგი ესაა ახლა ანებებს ნაჯუჯს თავს და არიან ერთ წრიპინში.

ეველა ფრინველი კვერცხით მრავლდება. რაკი დედალი კვერცხების დებას დაასრულებს, მერე კრუხათ ჯდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორეიშვილი ფრინველი ფიფინებს ბალიშებიდან ბალიშებზე ფიფინებს ანუ ბუმბულს ნაჯაჯს თავს.

ბა. სისხლი ფრინველებს სხვა ცხოველებზე უფრო ცხელი აქვსთ და ამიტომაც თავის ტანით საკმაოთ ათბობენ კვერცხებს. ბაწაწა ფრინველები თერთმეტ დღეს ზიან კრუსათ, ჩვენი ქაიამი საბი კვირა, ხოლო ამ დროის უუდიდესი ფრინველი სირაქლემა, რომლის კვერცხიც ბავშის თავის ოდენაა, შვიდ კვირას უნდება (კვერცხები ქვიშაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოთხრილ ბუდეში აწყვია და კრუხათაც მ ა მ ა ლ ი სი-
რაქლემა ჯდება). ერთი სიტყვით რაც უფრო დიდი კვერ-
ცხია, მის გამოჩეკასაც მეტი დრო უნდა.

კირიანი ნაჯუჯით მაშინ იმოსება კვერცხი, როცა
დადების დრო მოუვა. ნაჯუჯიც სულ მთლათ საცერივით
ფაცხაა, ჰაერი თვალთ უხილავ ნაჯვრეტებიდან თავისუ-
ფლათ შედის კვერცხში. აბა ახლა კვერცხი გავტეხოთ,
აგერ კვერცხის ყვითელი გული ცილაში ძევს; ეს ყვითელი
გული, როგორც ამჩნევთ, ცილაზე უფრო სქელია. აბა დაა-
კვირდით კვერცხის გულს, აგერ თითონ ყვითელს შეხო-
რცებია მარცვლისოდენა თეთრი წინწკალი, ამას ნასახს
ანუ ნაპეპლს უმახიან. აი სწორეთ ეს თეთრი ნასახი კრუ-
ხის სითბოსაგან და ჰაერის მოძრაობისაგან ახლათ ცო-
ცხლდება, აჩუჩუნდება, იწყებს ზრდას. საზრდოთ დანიშნუ-
ლი აქვს ცილა და ყვითელი, აქედან უნდა სისხლი და
ხორცი შეისხას; სუფთა ჰაერიც სასუნთქველათ გამოუ-
ლევლათ უნდა ჰქონდეს, თორემ გამოსახული წიწილა
კვერცხშივე დაიხრჩობა, მოკვდება. აბა სცადეთ: კვერცხი
გარედან გაფისეთ ან გასანთლეთ ისე რომ ნაჯუჯის ნა-
ჯვრეტები ამოიმსოს, მერე კრუხს შეუდეთ; როგორც ქვი-
დან ისე გასანთლულ კვერცხიდან არაფერი გამოიჩეკება.

მეოცდაერთე დღეზე ქათმის წიწილა კვერცხში დასრუ-
ლებულია და საზრდოც (ყვითელი და ცილა) სრულებით
გათავებული აქვს. ახლა ნისკარტით დაეძებს კვერცხიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსასვლელ გზას, ნისკარტით ტეხს, ნაჯუჯს, გამოჰყოფს ჯერ თავს და მერე ძთლათ გამოდის ძზა ძზარეული ფრინველი. წიწილები მაშინვე ეედევნებიან დედას საკენკის საძებნელათ, მაკრამ ზოგი ფრინველების კვერცხებიდან ტიტველი, ბრმა და უსუსური ბარტყები იჩეკებიან. მოიგონეთ ბეღურა ჩიტის და მერცხლის ბარტყები. ამათზე მშობლებს მეტი ამაგი აქვთ – სულ უნდა უზიდონ საზრდო და, ვიდრე ბარტყები შეიბუმბლებიან, თბილათ უნდა შეინახონ.

ილიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი საბერძნეთი

(ზღაპრული ამბავი).

ბერძნებს ეგონათ რომ უველაფერი, რაც დედამიწაზე და ცაზე სდება, უველა მრავალ ღმერთთა საქმეა: ღმერთები გზავნიან ელვას, წვიმას, ავათმყოფობას, სიზმარს; ბერძნებს ღმერთები ჰყავთ, ძლიერ და უკვდავ კაცებათ ჭეშვდათ წარმოდგენილი. იმათი ღმერთები, როგორც ადამიანი, ჭამდენ, სვამდენ; ერთმანეთში ჩხუბი მოსდიოდათ; ხშირათ უბრალო ადამიანთა ომებში მონაწილეობას იღებდენ. ბერძნების უველა ღმერთები ერთ დიდ ოჯახს შეადგენდენ და ოლიმპიის მთის წვერზე ცხოვრობდენ.

უველას მბრძანებელი ზეესი იყო. მისი ცოლი გერა, ოჯახის მფარველი იყო. ერთი ძმა ზეესისა — პოსეიდონი ზღვაზე მეფობდა. მეორე — გადერი — ქვესკნელში მიცვალებულ ადამიანთა სულების მეფე იყო. ზეესს შვილები ჰყავდა: ათინა, აპოლონი, არტემიდა, აფროდიტა, გერმესი და დიონისი (ვაკხი).

ათინა იყო სიბრძნის ღმერთა; აპოლონი — ღმერთი მზის შუქისა; არტემიდა — ღმერთი მთვარის შუქისა; აფროდიტა — სილამაზისა და სიყვარულისა, გერმესი — მოციქული (ელჩი), დიონისი — ღმერთი ღვინისა და სხვა.

ტროადელთ ომიანობის ლექსები.

(მიზეზი და დასაწყისი ომის).

ტროადელთ ომიანობაც ბერძნების აზრით ღმერთებისაგან იყო გამოწვეული. ტროადელთ ომიანობის მიზეზსა და დასაწყისზე მელექსეები შემდეგს მღეროდენ: თესალიის მეფე დღესასწაულობდა თავის შეუღლებას ზღვის ღმერთა ფეტიდასთან. ნადიმზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ღმერთები და ღმერთაები მოწვეულნი იყვენ. მოწვეული არ-
იყო მხოლოთ ერიდა, უთანხმოების ღმერთა. ერიდა გაწყრა, განრი-
სხდა და შურის ძიება განიზრახა. შეუმჩნეველათ მიუახლოვდა დარ-
ბაზს, საცა ქორწილი იყო გაჩაღებული, და მოქეიფეთ იატაკზე ვა-
შლი შეუგორა, ზედ ეწერა: „უფლამაზესს“. სამი ღმერთა: გერა,
ათინა და აფროდიტა შეხირდენ, არა ჩემთვის არის გამოგზავნილი
ვაშლი, არა ჩემთვისო. დავის გადასაწყვეტათ ზევესმა გაგზავნა სამი-
ვე ღმერთა ტროადელ მეფის პრიამის უნცროს შვილთან. ტროა-
დელთ სამეფო მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნაყოფიერ
ვაკეზე იყო გაშენებული. დედა ქალაქათ ტროია ანუ ილიონი ითვლე-
ბოდა. ტროია მაღლობზე იდგა და გარს მკვიდრი გალავანი ერტყა.
ტროადელები საქონლის მოშენებას მისდევდენ და ფრიად მდიდარ-
ნი იყვენ. მეფე პრიამს შვილები ბევრი ჰყავდა. სიყრმის შვილი გექ-
ტორი გამოჩენილი ვაჟკაცი და ლონის პატრონი იყო, ხოლო უნ-
ცროსი შვილი, პარისი სილამაზით იყო განთქმული. პარისი ერთ-
ხელ მინდორზე საქონელს აძოვებდა და იქ სამი ღმერთა ნახა —
გერა, ათინა და აფროდიტა: ისინი ზევსის ბრძანებით პარისთან მიდი-
ოდენ. ღმერთაები სილამაზეს ერთმანეთს ეცილებოდენ და პარისი-
საგან ვაშლის მიღების იმედს არც ერთი არა ჰკარგავდა.

რომ უფრო ნამდვილათ მიეღო ვაშლი, თვითეული ღმერთა,
თავის მხრით, პარისს ჰპირდებოდა საჩუქრათ ქვეყანაზე ყველაზე მეტათ
სასურველს და სანატრელს: გერა—აზიის მფლობელობას; ათინა—სი-
ბრძნეს; აფროდიტა - უულამაზეს ქალს ცოლათ. პარისმა ვაშლი აფ-
როდიტას მისცა. გერა და ათინა გაუწყრენ პარისს და გადასწყიტეს,
რომ დასჯიდენ არა მარტო პარისს, არამედ მთელ ტროადას.

კარგა ხანმა გაიარა. პარისს კიდეც გადაავიწყდა ღმერთაების ნახვაც,
აფროდიტას დაპირებაც; მაგრამ აფროდიტამ თვითონვე მოაგონა თა-
ვისი დაპირება. ერთხელ პარისი ჩრდილში ისვენებდა, უცბათ დაინახა
მომავალი აფროდიტა, რომელიც მივიდა პარისთან და უთხრა: „წა-
დი ელლადაში სპარტანელ მეფე მენელაისთან და იქ მიიღებ დაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულს". პარისი, მართლაც, გაუდგა გზას, და მშვიდობით გააჩერა თავისი ნავი ლაკონიის ნაპირებზე. ძვირფასი საჩუქრებით შეეიდა ლაკონიის დედა-ქალაქ სპარტაში. მეფე მენელაიმ პარისი კარგათ მიიღო და ტკბილი საუბარი დაუწყო.

ამასობაში მენელაის მეუღლე, ელენეც, გამოვიდა. ელენე მეტათ ლამაზი იყო; იგი სილამაზით ღმერთა აფროდიტას ჰგავდა. პარისი მაშინვე მიხვდა, სწორეთ ეს უნდა იყვეს აფროდიტას მიერ დაპირებული ჩემი საცოლეო.

სტუმრის პატივის საცემლათ და გასართობათ მენელაი ჰმართავდა სხვა-და-სხვა გასართობს, თამაშობას, ჭიდაობას, სირბილში გაჯიბრებას და სხვ. და დრო შეუმჩნეველათ მიდიოდა. მოხდა რომ მენელაი ცოტა ხნით სხვაგან წავიდა. პარისმა იხელა დრო და აფროდიტას შემწეობით ელენე, მრავალი სიმდიდრით, ტროიას გაიტაცა, გერას გაიგო პარისის განზრახვა და მაშინვე აფრინა ღმერთა ერიდა მენელაის შესატყობინებლათ. მენელაიმ გაიგო თუ არა რა უბედურებაც დასტეხია თავს, ძაშინვე სახლისკენ გაეშურა, მაგრამ იქ ეღარავის მიუსწრო; არც პარისი, აღარც ელენე სპირტაში აღარ დაუხვდენ. მაშინ მენელაი გაემგზავრა არგოსს, თავის ძმა აღამემნონთან, რომელიც იმ ჟამაი სიძლიერით საბერძნეთის მეფეებში ყველაზე განთქმული იყო. მენელაიმ უამბო ძმას თავისი უბედურება, შეურაცხყოფა და თხოვა შემწეობა: მომეხმარე, რომ ჩემ მტერს გადავუხადო სამაგიერო ჩემი შეურაცხყოფისთვის, და სტუმართმოყვარეობის წმინდა წესის შელახვისთვისო. აღამემნონი დათანხმდა.

გერას შემწეობით მენელაიმ საბერძნეთის სხვა მძლავრი მეფეებიც მიიმხრო.

საბერძნეთის სხვა-და-სხვა მხრიდან ამხედრდენ მეფეები, შეგროვდენ ყველა, და ზღვით მივიდენ ბეოტიის ერთ ნავთსაყუდელში—ავლიდში. უფროსობა, სპასალარობა, აღამემნონს ჩაბარეს; ხოლო ყოველი მეფე თავისი ჯარის სარდალი უნდა ყოფილიყო. აღამემნონის გარდა, სხვა მეფეები იყვენ; მენელაი, დიომედი, ნეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი, აიაქსი ოდისეი და ღმერთა ფეტიდას შვილი, ახილლესი, დაიძრა თუ არა მარჯვე ქარი, დაანება მოკავშირეთა ფლოტმა თავი ნავთსაყუდელს და ტროიასკენ გასწია.

მალე შედგენ ბერძნები მცირე აზიის ნაპირებზე და ტროიის იერიშით აღება განიზრახეს; მაგრამ იერიშით რომ ვერას გახდენ, ქალაქს ალყა შემოარტყეს და დაიბანაკეს. გაიარა ცხრა წელიწადმა ბერძნების მოსვლიდან, მაგრამ ტროია ისევ მაგრათ იყო. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯელ მოხდა ბრძოლა ბერძენთა და ტროადელთ შორის. ბრძოლაში მხოლოთ სარდლები და მათი შვილები იღებდენ მონაწილეობას; უბრალო ჯარის კაცნი სეირს უყურებდენ იმათ ბრძოლას და ხან თითონაც ჩაერეოდენ ხოლმე წეს-დაუცველათ, უმწყობრათ. დრო გამოშვებით სარდლები თავ თავის ჯარებით მიდიოდენ მიდამოების გასაცარცვათ, ასაკლებათ. ბევრი ქალაქი დაექციეს, დიდი ძალი სიმდიდრე იშოვნეს და ტყვეც ბევრი წამოიყვანეს. ყველაზე უფრო გაითქვა სახელი ახილესმა და მისმა ჯარმა. ამათ ისეთი შიშის ზარი დასცეს ტროადელებს, რომ ისინი საბრძოლველათ გამოსვლას ეეღარა ჰბედავდენ, როცა კი ახილესი ბრძოლაში ერია. აგერ მეათე წელიწადიც იწურება, მაგრამ ჯერ ტროია ვერ აუღიათ, ვერ დაუპყრიათ. თანაც ბერძნების საქმე ცუდათ წავიდა: ახილესი შემოსწყრა აგამემნონს და ომებში მონაწილეობას აღარ იღებდა.

ამბავი „ახილლესის წყრომისა“ აღამემნონზე და მათი შერიგება შეადგენს ილიადას უმთავრეს შინაარსს. ეს ყველაფერი მეათე წლის უკანასკნელ კვირეებში მოხდა.

ი ლ ი ა დ ა. (ანუ ილიონზე ლექსი).

ერთხელ ტროიას მახლობელ ქალაქის აკლების დროს, ტყვეთ შეიპყრეს და წამოიყვანეს ღმერთი ქურუმის ქალი. წილი ჰყარეს და ქალი აღამემნონს ერგო. ქურუმი, მამა ქალისა შეეევედრა აპოლონს და თხოვდა ბერძნები დაესაჯა. აპოლონმა შეისმინა მისი თხოვნა, ჩამოვიდა ოლიმპიდან ბერძნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანაკში და დაუწყო მათ ისრების სროლა: ბანაკში გაჩნდა ჭირი. ბერძნების სარდლები შეშინდენ და შეკრბენ სარჩევათ (სათათბიროთ), თუ როგორ ავიცდინოთ ღვთის რისხვაო. დაეკითხენ მთავარ ქურუმს. იმან უპასუხა, სანამ ალამემნონი აპოლონის ქურუმს ქალს არ დაუბრუნებს, ჭირი არ განელდებაო. ალამემნონმა ძალა უნებურათ შეასრულა მთავარი ქურუმის რჩევა, ქალი მამას დაუბრუნა. მაგრამ ალამემნონს უწილოთ რჩენა არ უნდოდა და ახილესს გამოუცხადა, შენი ტყვე ქალი მე უნდა მომცეო. მართლაც ახილესის კარავში მალე გამოცხადდენ ალამემნონისაგან გამოგზავნილი კაცები და ქალი მოთხოვეს.

ახილესმა მისცა, მაგრამ გადაწყვიტა ამისთანა უსამართლობისთვის ბერძნების შური ეძია და გამოაცხადა, ბრძოლაში მონაწილეობას აღარ მივიღებო.

ახილესის დედამ, ფეტიდამ, შვილის მწუხარება რომ შეიტყო მაშინვე ოლიმპს მიაშურა. იქ დაიყოლია ზევსი ბერძნების შურის საძიებელათ ახილესის შეურაცხყოფისთვის.

ზევსი დაჰპირდა ფეტიდას, რომ ტროადელები მუდამ დაამარცხებენ ბერძნებს, სანამ ალამემნონი ახილესს წართმეულ ტყვე-ქალს არ დაუბრუნებსო.

ბერძნებმა რომ სარდლების შორის ჩხუბი შეიტყვეს, დაღონდენ: იმათ რწამდათ, რომ უახილესოთ ტროიას ველარ აიღებდენ, ალამემნონიც მიხვდა, რომ ასე იმედ-დაკარგული ჯარებით ვერას გახდებოდა.

დაღამდა. ადამიანიც და ღმერთებიც ძილს მიეცენ. არ ეძინა მარტო ზევსს,—მთელ ღამეს იმის ფიქრში იყო, როგორ შეეუსრულო ფეტიდას პირობაო, როგორ გადეუხადო სამაგიერო ალამემნონსა და ბერძნებს ახილესის შეურაცხყოფისთვისო. ბოლოს გადაწყვიტა, ეაჩვენებ ალამემნონს ცრუ სიზმარსო. მართლაც ალამემნონმა იმ ღამეს სიზმარი ნახა, ვითომ ყველა ღმერთებს ტროადელების დაღუპვა გადაეწყვიტათ, და ზევსი მას ტროიაზე გალაშქრებას უბრძანებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაჟრაჟა, ალამემნონმა გაიღვიძა თუ არა, იმ წამს გზირი აფრინა სარდლების მოსაწვევათ კრებაზე. სარდლები მალე მოგროვდენ და თავ-თავის ალაგზე დასხდენ. ალამემნონმა უამბო იმათ სიზმარი და რჩევა თხოვა; „რა მოვაგვაროთ, რომ ბერძნები უახილესოთ გულადათ ვაომოთ?“ თვითონ ალამემნონმა შეიტანა წინადადება. „ჯერ გამოვცადოთ, აქვთ ბერძნებს სურვილი ბრძოლისა თუ არა; ამის გასაგებათ შინ დაბრუნებას ვურჩევ, და ვნახოთ რას იზამენო“. მეფენი დათანხმდენ, და ამით გათავდა კრება.

ამას შემდეგ ალამემნონმა გაჰგზავნა გზირები ჯარების შემოსაკრებათ, —მინდა ჩემი ნება და კრების გარდაწყვეტილება გამოგიცხადოთო. შეიკრიბენ ჯარები დანიშნულ ალაგს. ატყდა ერთი ხმაურობა და ღრიანცელი ცხენების თქარა-თქურისა და ლაპარაკისა. როგორც იყო ყველანი დასხეს; ჩამოვარდა სიჩუმე, მაშინ ალამემნონი, სკიპტრით ხელში, წამოდგა და მიჰმართა ყველას სიტყვით, რომელშიაც თავისი და სარდლების პირობითი გარდაწყვეტილება გამოთქვა. თავისი სიტყვა ამ გვარათ დააბოლოვა: „აგერ ცხრა წელიწადმა განვლო, რაც ამ ქალაქს გარს ვარტყიავართ: ჩვენი ხომალდები ლპებიან, კარვები დაიხრწნენ, და ჩვენ კიდევ არ ვიცით, ავიღებთ ტროიას თუ ვერა. სახლში კი ცოლ-შვილი გულის წუხილით გველოდება. გავათავოთ ომიანობა, ავიღოთ ბანაკი, ჩავსხდეთ ხომალდებში და დავბრუნდეთ სამშობლოშიო!“ გაათავა სიტყვა ალამემნონმა თუ არა, იგრიალა იმოდენა ხალხმა და სიხარულით მიაშურა ხომალდებს. ზღვის ნაპირზე გაძლიერდა მუშაობა: თხრიდენ ქვიშას, საცა ხომალდები ჩაფლულიყო, ამზადებდენ ხომალდებს.

გერამ დაინახა არეულობა, მოძრაობა ბერძნების ბანაკში და ათინას უთხრა: „ღრუბელთ მრეკელ ზევსის ქალო, შეხედე ერთი, რა ამბავია? ნუ თუ ბერძნები სირცხვილ ნაჭმები სამშობლოში ბრუნდებიან? ნუ თუ ელენეს ტროიაში ტოვებენ? წადი ჩააგონე ბერძნებს, რომ არ წავიდენ!“ ათინამ მოუსმინა გერას, სწრაფათ ჩამოეშვა ოლიმპიდან, მოძებნა ოდისეი და უბრძანა, შეეჩერებინა ბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნები. ოდისეიმაც აიღო თავისი სკიპტრა და ხომალდებისკენ გაეშურა. სარდლებს და განთქმულ მეომართ მომხიბლავი, ტკბილი სიტყვებით არწმუნებდა; უბრალო ჯარის კაცებს კი ლანძღავდა და სცემდა სკიპტრით. როგორც იყო, გაქცეულები თავ თავის ბინაზე დააბრუნა.

მხოლოთ ერთი უბრალო მეომარი, სახელათ ფერსიტი, ძალიან უკმაყოფილო იყო, რომ სამშობლოში დაბრუნება კიდევ ვინ იცის რამდენი ხნით დააგვიანეს. ამაში ფერსიტი აღამემნონს ამტყუნებდა: „ჩვენი აქ დარჩენა აღამემნონის ბრალია, იმას იმიტომ უნდა დარჩენა, რომ უფრო მეტი ნადავლი იშოვნოსო.“ დაცინვისა და სამდურავის კილოთი მიმართა ყველას: ჩვენ, როგორც ეხედავ, აქველი ვაჟკაცები კი არა, სუსტი და მხდალი დიაცები ვყოფილვართ: რათ ეუთმობთ აღამემნონს, რომ როგორც უნდა ისე გვათამაშებს? წაიდეთ ყველანი, დავანებოთ თავი და ვნახავთ, ეუჩვენოთ რას გახდება... დაე გაიგოს, რომ ჩვენც შეგვძლებია რამე. ყველანი მოწათ გაგვიხადა; ჩვენ რომ ტყვე ქალს ვიშოვნით, აღამემნონი „გამოსასყიდელს ფასს თვითონ იქისავს“. გაათავა ეს სიტყვები თუ არა, ოდისეი გაჩნდა მის გვერდით და მრისხანეთ დაუყვირა: „გაკმინდეხმა, საძაგელო, უგუნურო ქადაგო! როგორ გაბედე მეფეების კაცხვა! გშურს განა, რომ აღამემნონს ბევრი ნადავლი ხვდება. იცოდე, თუ კიდევ დაიწყე ქადაგება, ოდისეი აღარ მერქმევა, თუ არ გამაძევებ ჯარიდან და შენთვის თავს არ მოვაჭრევინებო!“ ეს უთხრა და დაუშინა ფერსიტს სკიპტრა. ფერსიტი შიშმა ააკანკალა, ცრემლები სდიოდა და მორჩილათ იტანდა ოდისეის სასტიკ სასჯელს. არავის შეებრალა ფერსიტი და არავინ წაექომაგა. პირ-იქით, ყველა იცინოდა და ამბობდა: „ოდისეი უმართებულოს არას ჩაიდენსო. აი, ახლაც ასეა, თავხედი დასაჯაო...“ ამის შესახებ დიდხანს არ შეწყვეტილა ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა ჯარში. აგერ ხელ-ახლათ წამოდგა ოდისეი სკიპტრით... ყველა გაჩუმდა. ოდისეი მიუბრუნდა აღამემნონს და უთხრა: „მეფეო აღამემნონო! მართალია კარგი არ არის, რომ აქეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს აღარ უნდათ შეგისრულონ მიცემული სიტყვა,—ისინი დაგპირდენ, უკან არ დაებრუნდებით, სანამ ტროიას არ აიღებთო, მაგრამ, მეორე მხრით, ვერც ძალიან ვამტყუნებ, რადგან იმათი უკმაყოფილების მიზეზიც შესაწყნარებელია: ერთი თვით რა არი, მაშინაც კი გვიმძიმს ოჯახის მოშორება. ჩვენ კი აგერ ცხრა წელიწადია სახლ-კარი აღარ გვინახავს... მაგრამ, აქეის ვაჟკაცნო, მოიფიქრეთ რა სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ გაუმარჯვებლათ დაებრუნდეთ სახლში! ჯობს, მეგობრებო, ცოტა კიდევ მოვითმინოთ! ახლა კი უეჭველათ მალე დაებრუნდებით სამშობლოში. მოიგონეთ ის წინასწარმეტყველური მოვლინება, რომელიც ზევსმა ავლიდაში გამოგვიგზავნა. ყველას გეხსომებათ, რადგანაც ყველა თქვენგანმა იხილა ის მოვლინება. მსხვერპლს რომ ვწირავდით, უცბათ სამსხვერპლოს ქვეიდან საშინელი ვეშაპი ამოცურდა და რვა ბელურას ბარტყი დედიანათ შთანთქა... მერე კიდევ ზევსმა ის ვეშაპი ქვათ რომ აქცია... ქურუმმა ხომ მაშინვე აგვიხსნა, თუ რას ნიშნავდა ეს მოვლინება. რამდენიც ფრინველია იმდენ წელს ტროას გარს ერტყმითო. მეათე წელს აიღებთო. ახლა მითხარით, რაღასა ვწუხვართ? გავმხნევდეთ! იქამდის ვიყვეთ აქ, სანამ ტროიას დავაქცევდეთ!“ ოდისეის სიტყვებმა ძლიერ იმოქმედა. ბერძნები მართლა გამხნევდენ, გამბედაობა დაეტყოთ და ისეთი ხმაურობა ასტეხეს, რომ გრიალი შორს არე-მარეს ეფინებოდა. იმოდენა ჯარი ამოძრავდა და ახმაურდა აღელვებულ ზღვასავით. მხიარულათ და მხნეთ დაუბრუნდენ თავ-თავის კარვებს და სადილის მზადებას შეუდგენ. ყველგან დაგუგუნდა ცეცხლი. ამ დროს ღმერთა ათინამ ბანაკში ჩამოიარა, მეომართ ისეთი ვაჟკაცობა და სიმხნეე ჩაჰბერა, რომ ახლა ომი უფრო წყუროდათ ვიდრე სამშობლოში დაბრუნება.

ჯოტე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თეზეოსი.

(ფრანგულიდან).

I.

ქესი თვე იყო რაც ათინის სასწავლებელში ვიყავი, რომელსაც სახელათ მეგალი-ანტროპი (ე. ი. გამოჩენილი კაცების სასწავლებელი) ერქვა; ჯერ ჯეროობით არაფერი არ მიმტკიცებდა (თუ კი, რასაკვირველია, ჩემი მასწავლებლების აზრს და ნიშნებს მივიღებთ მხედველობაში), რომ როდისმე გამემართლებინა ამ სასწავლებლის დიდებული სახელი, მაკრამ გმირის სისხლი კი ტრიალებდა ჩემ ძარღვებში, რადგან ცნობილია რომ ყოველი ბერძენი პირ-და-პირი შთამომავალია სოლონის, არისტოტელის ან პერიკლისა!

ნათლია ჩემი, რომელსაც თეზეოს ერქვა, პალიკარის რაზმში ემსახურებოდა და მაიორის ჩინი ჰქონდა. იმას ისე მოსწონდა თავისი სახელი, რომ მეც თეზეოსი დამარქვა; მეც იმედი მქონდა რომ იმის ღირსებას მოვიპოვებდი. რაც შეეხება მამიდაჩემს, ის სულ იმას ჩამძახოდა დიდს სახელს და საზოგადოების სიყვარულს დაიმსახურებო, და მარწმუნებდა რომ ადონისივით შვენიერი ვიყავი. ამგვარმა სიტყვებმა და იმედებმა ისე დამაბრმავეს და გამაფუჭეს, რომ არც გაკვეთილებს ვსწავლობდი და არც მასწავლებლებს ყურს ვუგდებდი, ისე რომ თორმეტი წლის უშველებელი ბავში სრულიად უსწავლელი და ბრიყვი ვიყავი (თუმცა მამიდა ჩემი სულ წინააღმდეგი აზრისა იყო) ობოლი ვიყავი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო ერთათ ერთი გასამართლებელი საბუთი ჩემი და იმ ყოვლად პატიოსანი კირიე ევენტისა, (ჩემი მამიდის) რომელიც შვენიერ მურაბებს და შაქრის პურებს აკეთებდა, მაგრამ ბავშის აღზრდისა კი არა ესმოდა რა.

იმდენათ ესარგებლობდი ამ ჩემი ობლობით, რომ საწყალ მამიდას ილაჯი გაუწყდა და გადაწყვიტა ნათლიასთვის წერილი მიეწერა და ეთხოვა სასწავლებელში მივეცი. ბევრი ცრემლი დაღვარა, ბევრი იწუხა საწყალმა დედაკაცმა, როდესაც მივყავდით იმ განთქმულ ზემოხსენებულ ათინის სასწავლებელში, საცა სამასზე მეტი ჩემზე უფრო ნაზი და აზიზი ბავში იზრდებოდა.

მე კი სიხარულით ვხტოდი იმ იმედით, რომ ბევრი ამხანაგები მეყოლებოდა და აუარება მელანიც მექნებოდა ხელების და რვეულების სათითხნელათ.

ჩემმა მხიარულებამ ცოტათი დაამშვიდა საწყალი მამიდა და შემპირდა, ყოველ ხუთშაბათს მოვალ და ბევრ მურაბებს და ტკბილეულობას მოგიტან ხოლმეო.

II

როდესაც მეგალი ანტროპის სასწავლებელში შევედი, მეორე დღეს უფროსმა შემიხმო თავის ოთახში.

— თეზეოს აგაპიმენონ, მითხრა მან, უნდა გამოგცადო, რომ ვიცოდე რომელ კლასში დაგსვა.

მე ცოტა არ იყოს ამ სიტყვებმა ტანში შემაზრიალა, რადგან გამოცდისა მეშინოდა, უფრო იმიტომ რომ არაფერი ვიცოდი.

— რამდენი წლისა ხარ, ყმაწვილო?

— თორმეტი წლისა, ვუპასუხე მე.

— იცნობ ჩვენ ძველ მწერლებს?

მე პირი დავაღე, მაგრამ კეთილმა კაცმა რომ 'მეამჩნია ჩემი გაკვირვება, დაუმატა:

— სულ ყველას დასახელება ერთობ გაგრძელდება, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთი მდიდარია განთქმული მწერლებით! მარტო ზოგიერთი დაასახელე; მაგალითათ: სოფოკლი, არისტოფანი...

— მე იმათ ვერ ვიცნობ, წავიბუტბუტე მე.

— როგორ! სახელებიც არ იცი?

— მამიდა ევენტი მაღალ საზოგადოებაში არ დაიარება, წავიბუტბუტე მე. ასე მეგონა რომ უფროსი ათინის ზოგიერთი გამოჩენილი პირების შესახებ მელაპარაკებოდა.

— ოო! უცოდინარობავ! წამოიძახა ბატონ პოლინეუსმა, (ასე ერქვა უფროსს) თქვენ არ იცით რომ სოფოკლი ჩვენი გამოჩენილი ტრაგიკული პოეტია და არისტოფანი კომიკური? მაშ ისიც არ გეცოდინებათ თუ ვინ არის არისტიდი, ახილესი, ალექსანდრე?

— როგორ არა, ბატონო, მე ვიცნობ ახილეს მიკროპულოს, მეწაღეს, და ალექსანდრე ანდროფუსს...

— გაჩუმდი! დამიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა უფროსმა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა; თორმეტი წლის ბერძენმა რომ მაგისთანა პასუხები იძლიოს, როგორსაც თქვენ ახლა იძლევით, დიდი სირცხვილია მთელი ჩვენი ქვეყნისთვის! არ არის არც ერთი ფრანგი, ინგლისელი და იტალიელი რომ არ იცოდეს ჩვენი გმირების ამბავი..

მე დარცხვენილი ვიდექი, ხელში ჩემ ქუდს ვატრიალებდი და ეუცდიდი რომ ბატ. პოლინეუსი დამშვიდებულიყო.

— აბა ვნახოთ გეოგრაფიიდან თუ იცი რამე. თქვა სიბრაზით დაქანცულმა უფროსმა.—რა ფორმისაა ჩვენი დედამიწა?

— რგვალია, ვუპასუხე მე უცაბედათ.

ამ უცაბედმა პასუხმა გამომიხსნა, უფროსმა თანხმობის ნიშნათ თავი დაიქნია.

— დაასახელეთ ხუთი ნაწილი ჩვენი დედამიწისა.

— საბერძნეთი....

— რა თქვით? რა ჰქვიან დედამიწის ხუთ ნაწილს?

— მე... მე არ ვიცი, ვუპასუხე ბოლოს გადაწყვეტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ თქვენ დიდი ჩოჩორი ყოფილხართ! დაიყვირა პოლინეუსმა, გულხელი დაიკრიფა, გაშტერებული მიყურებდა, თავს აქნევდა და ფეხებს აბაკუნებდა იატაკზე.

— წერა და კითხვა ვიცი, ვუპასუხე მე.

— მაშ კარგი! აბა ვნახოთ როგორ დასწერ! აიღო ერთი ფურცელი ქაღალდი, კალამი მელანში ჩააწო, დამსვა მაგიდასთან და დამიწყო კარნახობა.

ძალიან ვეცადე, მაგრამ უფროსმა მაინც ორმოც-და-სამი შეცდომა იპოვნა ათ სტრიქონში.

ხელმეორეთ გაჯავრებას მოველოდი, მაგრამ შევცდი.—შენ სულ უკანასკნელ კლასში უკანასკნელ განყოფილებაში ჩაირიცხები, საცა ექვსი და შვიდი წლის ბავშები არიან, მითხრა უფროსმა, ეცადე კარგათ იმეცადინო და იშრომო, თორემ სირცხვილია მაგოდენა კაცი იმ პაწაწკინა ბავშებთან რომ იჯდე....

დარცხვენილი გამოვედი ოთახიდან; ტირილი მომდიოდა, მაგრამ რადგან მამიდა იქ არ იყო რომ ცრემლები მოეწმინდა და ვენუგეშებინე, ამიტომ გადავწყვიტე გულ მოდგინეთ მეშრომა და მემუშავნა, რომ მალე უფროს კლასში გადავეყვანეთ.

ეკ. მ—სა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველებანი ბუნებისა.

№ 21.

(ლეღვსუარი ficus indicus)

ინდოეთში ერთი ხე იცის, რომელიც საშინელი დიდი იზრდება. ეძახიან მას სახელათ წმინდა ლეღვის ხეს, რადგან მის ქვეშ ხშირათ იშენებენ ხოლმე ინდოელები თავის სალოცავებს. ჩვენ მას დავარქვათ-ლეღვსუარი. *)

საკვირველი ზნე სჭირს ამ ლეღვსუარს: ეველა ტოტიდან გამოაქვს ფესვები. ეს ფესვები ჰირველში მოთეთროა და თოკებივით ჰაერში ჩამოკიდებული. მერე თან-დათან გრძელდება და

როდესაც უწევს დედამიწას, მოიკიდებს შიგ ფესვს და სწოვს მიწის სინოყივრეს. გამაგრდება მიწაში, გარდიქცევა ნამდვილ ძირათ და შეედგმის ტოტს ქვეშიდან ბოძივით, ამაშინ, რასაკვირველია, უფრო მსხვილდება და გამოაქვს იმასაც

*) იხ. ლექსიკონი რ. ერისთავისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისის მხრივ კიდევ სხვა ტოტები. ახლა იმისი ტოტები ვამოიტანს ფესვებს და გარდაიქცევა ნამდვილ ძირებათ და მისდევს სულ ასე. ისე რომ, ერთ ამისთანა ლელვსუარს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ასი ძირი, ქვეშიდან ბოძებივით შეუენებული.

ერთი ამ გვარი შესანიშნავი ლელვსუარი დგას მდინარე ნებრუდდის (ინდოეთში) ნაპირს. ირგვლივ ნახევარ ვერსტზე მეტი ადგილი უჭირავს; სამი ათასზე მეტი ძირი აქვს; ერთი შეხედვით ერთ მთლიან ტუესა ჰგავს. ერთხელ მის ქვეშ მთელი ჯარი, შვიდიათასი კაცი, იყო თავ შეფარებული.

ლადო ალნიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ წ ი ვ ი.

ი გ ა ვ ი.

ერინველთ მეფე ავათ მეიქნა. მისი მოვლა იკისრეს ბატმა, მამალმა და ტრედმა. ბატი ღამ-ღამ დარაჯობდა, მამალი ნანას ეუბნებოდა, ტრედი ალბებს აწვდიდა.

ჩამოიარა მათკენ შემთხვევით კურდღელმა და ჰკითხა:

— მართლის თქმა თუ გიყვართ, აბა მითხარით, არწივის მოვლას რა გრჯით: მაგის სიყვარული თუ შიშია?

— შიშია!—უპასუხეს ერთხმათ.

— თქვე უბედურებო, მიუგო კურდღელმა: თქვენ თავსაც ღუპავთ, არც მე მიმადლიერებთ: ეგ რომ კარგათ შეიქნება, მაშინ მადაც გაეხსნება; მოხსნის ჰირს კუჭსა, ღღეს გიჩვენებთ ცუდსა; სანამ ავათ არის, თქვენ ხელთ არის; შეჰკარით ჰირი, დააყარეთ ჭირი.

მომვლელებს ეს რჩევა ჭკუაში მოუვიდათ. არც აცხელეს, არც აცივეს,—მოვლა უკუ აგდეს; მოიმარჯვეს ნის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტები, ბევრი ჭეჭეს, ნაუეს; სენსა სენი დაუმატეს, ტვინი გაულაუეს. ავათმოფი მიასუსტეს, უსაზღვროთა თვლეს; ესეც ალარ აკმარეს,—მზეც კი დაუბნელეს.

ალ. მ—შვილი.

ა რ ა კ ი.

(ილია ალხაზიშვილის წარმოდგენილი)

ერთ მეფეს ვიღაც ჭკუის კოლოფმა საქმე გაუჭირვა: ფირმანი მიბრძანა, იმ მთის წვერზე ნება მქონდეს წისქვილი დავაბრუნოვო, თანაც კომლზე თითო ქათამი ხალხმა ხარჯათ მაძლიოსო. მეფემ შემდეგი ბრძანება გასცა:

იბრუნოს მთის წვერს წისქვილმა თუ წუალმა აატანაო.

მოჭრიფოს კომლზე ქათამი თუ ხალხმა გადიხადაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ა ლ ხ უ რ ი.

ახალწელიწადს დღესაო,
ქათამი ჰქექდა ბზესაო,
დედი ერთი ალეა მამე,
შენი შვილების მზესაო.

—

ენაცვალოს დედამთილი,
რძალი რომ ადრე ადგება;
ადრე მოწველაეს ძროხებსაა,
ვიდრე ნახირი დადგება;
ადრე მოუველის ჯამ ჭურჭელს,
თაროს ნათელი ადგება.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

წყნარი და ენა წყლიანი,
მშვიდობიანის გულითა,
ის მოეელინა ქართველებს
დიდისა სიყვარულითა.
არ დაშერა სიარულით და
ნათლავდა ქართველთ ეაზის ჯერით,
იესოს სასწაულითა;
ნეტარი მოკვდა ბოდბეში
აკურთხა ღმერთმა სულითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ილია ალხაზიშვილისაგან).

მელიის მფარველობას ლომმა შემჭამოს სჯობია.

—

ნავსის ნაშენ ხიდზე გაელას წყალმა წამიღოს სჯობია.

—

დაყვედრებულ ვარდის სუნვას სოსანს ეუსუნო სჯობია.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი გ. ორგი ბოკერიასაგან)

ტანათ მზგავსი ვარ ალვისა,
პირათ კი ხაჭაპურისა;
ყელ მოღერებით ჯვეირნის,
პირი მაქვს მოლალურისა.
დილით მზეს ვეთაყვანები,
სალამოს—კვალად მზესაო;
რა მცენარე ვარ, მიკანით,
ბავშებო, თქვენსა მზესაო.

(წარმოდგენილი ქუთ. სამოქ. სასწ. მოსწავლე პავლე კახაძისაგან).

ერთი რამე ენახე, ეშმაკისა სახე,
ზეით-ზეით დადიოდა, ძირს დაეგო მახე,—
წვრილი ჩიტი გაბმულიყო, ჩემის თვალით ენახე.

უჯრების ამოცანა.

(წარმოდგენილი კავკავის გუმნაზიის მოწაფე ისიდორე გიგინეიშვილისაგან.)



ამ უჯრებში ჩასვით შემდეგი ასოები, რომ გამოვიდეს რომელიმე ქართული ანდაზა: ა, ლ, ღ, წ, თ, ვ, ი, ვ, ა, ს, მ, ვ, ა, ს, ა, მ, ე, ს, მ, ა, რ, წ, თ, ა, ს, თ, ვ, ა, ყ, ე, ხ, ა, ბ, რ, დ, ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათამაშო გამოცანა.

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

შეკეცეთ ქაღალდი ისე, რომ ერთი პირდაპირი გაჭრით მიიღოთ ჯვარი და სხვა ამისთანა ნაჭრები, როგორებსაც აქ ხედავთ.



რებუსი

(წარმოდგენილი იო. ტაკიშვილისაგან).

ეროვნული ბიბლიოთეკა





№ XII გამოცანებისა.

გამოცანები: 1) შამფური, 2) ქარი, 3) ნარდი.

სამათემატიკო გამოცანა: ერთი გირი 1 გირვანქიანი, მეორე 3 გირვანქიანი, მესამე 9 გირვანქიანი და მეოთხე 27 გირვანქიანი. ვთქვათ გინდათ ასწონოთ 2 გირვანქა, სასწორის ერთ გვერდზე დასდებთ 1 გირვანქ. და მეორეზე 3 გირვანქ. თუ გინდათ ასწონოთ 5 გირვანქა, ერთ გვერდზე დასდებთ 1 და 3 გირვანქიანს და მეორე 9 გირვანქიანს და ასე შემდეგ.

ცხრა ციფრიდან უნდა შეეადგინოთ შემდეგი: 15 +36+47=98+2=100.

შარადა: მზე-რა.

რებუსი: ცრუ კაცი კარგათ ვერას იქმს საქმესა გაძნელებულსა.

ერთი გამოცანა, შარადა და რებუსი გამოიცნეს გორის საოსტ. სემენარიის მოსწავლემ ნიკ. მერაბაშვილმა და გორის დედათა პროგიმნაზიის მოსწავლემ ნინა იონათამოვისამ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეათე

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა